645
1978/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1978 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე რესპუბლიკის კომკავშირს გადასცემს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელ დროშას.

ვლ გინზბურგის ფოტო.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები

# ვაზის სიმღერა

15862

გაივლი გურჯაანის რაიონს, სოფელ ველისციხეს ჩაათავებ და ალაზანსაც მიადგები. აქედან იწყება ყვარლის რაიონი. მახსოვს ის წლები, როცა ადიდებულ ალაზანზე ათიოდე კაცი წვალებით მიათრევდა ბორანს. ნაპირთან კი საათობით იდგნენ მდინარის გაღმა თუ გამოღმა გამსვლელი გლეხები, რომელნიც ან ველისციხის ბაზარზე მიეშურებოდნენ, ანდა საპატარძლო უნდა მოეყვანათ ყვარლის რაიონიდან. ახლა ამ ადგილას ფართო და მყარი ხიდია გადებული, რომლითაც მტკიცედ დაუკავშირდნენ ერთმანეთს გურჯაანელი და ყვარლელი მშრომელები. სიმბოლურია ეს ხიდი. ამ ორ რაიონს მტკიცე და საუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებს. ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ ჭირსა და ლხინში. მათ შორის მხოლოდ ალაზანია, განუყოფელი და განურჩეველი, ორივე რაიონისათვის ერთნაირად სამაყო და საფიცარი, ალაზანი — კახეთის ლაზათი და მშვენება, ხან მობუტბუტე და გულჯავრიანი, ხან კახელი კაცივით დინჯი და გულჩახვეული.

ხიდს გადაივლი და კრიალა, მოასფალტებული სამანქანო გზა კაკლის ხის ჩრდილების ქვეშ მიიკლაკნება. ირგვლივ კი თვალს ახარებს გავაზელების, ჭიკაანელების, ახალსოფლელების, შილდელების, გრემელების, ენისელელებისა და საბუელების ბაღები და ვენახები.

შემოდგომის თბილი, საამო დღეებია. გზაში გვეგებება ქარვისფერი მტევნებით დატვირთული მანქანები. სიტკბოსა და თაფლს ფუტკარი ადევნებია. ვენახებიდან დროდადრო სიმღერის ხმები მოისმის. ყვარელში ვაზის დღეობაა, ვაზის ქორწილია!

ყვარელში ხალხი გაიშვიათებულა. ყველა ვენახშია, ვისაც კი კალათისა და გოდრის აწევა შეუძლია. ყვარელი — დიდი ილიას ნააკვნარი და უკვდავი მარჯანიშვილის ყრმობის ალაგი! მართლაც ბევრი რამა აქვთ ყვარლელებს საამაყო. რა კოხტაა, რა გულისყურით არის მოვლილი ყოველი ქუჩა, ყოველი შენობა!

აბა, ვის ვნახავდი ამ გაგანია რთვლის დროს პარტიის ყვარლის რაიონულ კომიტეტში. უთენია დავიმარტოხელე ყვარლის პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი ვალერი ზურაშვილი და ჩემი ჩასვლის მიზანი გავაცანი. ჩვენი საუბარი ყვარლის რაიონის მევენახეებზე ჩამოვარდა და ვალერიმაც სამაგალითოდ გრემელი და საბუელი მევენახეები დამისახელა.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებების შესასრულებლად ბევრი ღონისძიება განახორციელა პარტიის ყვარლის რაიონულმა კომიტეტმა. რაიკომთან შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ადგილზე უწევდა დახმარებას რაიონის კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს. პლენუმის გადაწყვეტილებების მიღებამდე მეჩხერიანობა რაიონის ვენახებში 22 პროცენტს აღწევდა. დღეისათვის კი 16 პროცენტამდე შემცირდა. გეგმით ყვარლის რაიონს სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 38.000 ტონა ყურძენი. რაიონი პირობას იძლევა სახელმწიფოს 40.000 ტონა მიჰყიდოს, — ამბობს ვალერი.

ქებას ნახვა სჯობიაო, — ქართველ კაცს უთქვამს და მეც გრემისა და საბუისაკენ გავემართე. შემხვედრი მანქანა გავაჩერე. მძღოლი გრემის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ზაურ ცხოვრებაძე აღმოჩნდა, რომელმაც ბევრი რამ მიამბო გრემელი მევენახეების საქმიანობაზე.

თქვენს დირექტორს აქებენ მეთქი, სიტყვა გადავუკარი ზაურს და ისიც მოუყვა გიორგი ხოსროშვილის ამბებს. ოთხი წელია, რაც ჩვენს მეურნეობაში მუშაობს, მაგრამ თავისი საქმე უკვე გააკეთაო, რომ იტყვიან, საქმე საათის კარგი მექანიზმივითა აქვს აწყობილი და ხალხიც უმადლისო. შარშან მარტო ჩემმა ბრიგადამ 9.800 მანეთი მიიღო პრემიალური ანაზღაურების სახით. გიორგი მარტო ჩვენი მეურნეობის ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ ყოველი ოჯახის მზრუნველი და მეპატრონეა. კაცს ჯერ თვალში ჩახედე, მერე გულშიო. გიორგის თვალებიდან კი ალალი და მართალი კაცი იყურება.

გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა სამ სოფელს აერთიანებს — გრემს, შაქრიაანსა და გრძელ ჭალას. მათი ვენახები 682 ჰექტარზეა გადაჭიმული. გეგმით მეურნეობას 3.500 ტონა ყურძენი უნდა ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის, მაგრამ გრემელები 5000 ტონას ჰპირდებიან.

გრემელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობასთან არიან ჩაბმული. ასეთი ცნობილი მეურნეობის გამოწვევა კი გრემელებისათვის მართლაც დიდი პატივია. თუმცა რაიონულ შეჯიბრებაში მეორე წელია პირველობას ისაკუთრებენ ყვარლის მევენახეობის მეურნეობასთან.

მევენახე ქალები ვახსენეთ და გიორგი ხოსროშვილს თვალი გაუბრწყინდა: განა ერთი და ორი გვყავსო, მუშა ხელი არ გვიჭირსო. პრემიაულ ანაზღაურებას ისეთი დიდი დაინტერესება მოჰყვა, რომ ბრიგადირს თვითონ ეძახის ხალხი. მეურნეობის სიამაყეა თამარ ქურხული. ამ ქალისა იმდენი საინტერესო ამბავი მიამბო გიორგი ხოსროშვილმა, რომ მის სანახავად ვენახისაკენ ვაპირებდით წასვლას, მაგრამ თამარი იმ დღეს ვენახში არ წასულა. ბრიგადირისათვის უთქვამს, ქევრი მაქვს გასარეცხი და ერთი დღე გამანთავისუფლეო. ამ ამბავმა ცოტა არ იყოს გამანაწყენა. განა რა გაუ-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა



საბუე. ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა



გრემი. თამარ ქურხული



გრემი. მეურნეობის დირექტორი გიორგი ხოსროშვილი და ზერბინა ხახუტაშვილი



გრემი. კომკავშირელი მევენახე ქეთევან ჩაპარაშვილი

ჭირდათ გრემელებს ან თამარის შვილებს, რომ ქვევრი თამარს გაარეცხინონ მეთქი.

თამარის დაკრიალებულ ეზოში შევედი და ყურთამდე გაღებულ მარნის კარიდან ქვევრის შხარა-შხურის ხმა მომესმა. ქვევრის ხმას ქალის წკრიალა სიმღერა უერთდებოდა. რძალი მარანში შევიდა, ქვევრის პირას დაიხარა და ქვევრში მჯდარ ქალს რაღაც უთხრა. მალე ქვევრიდან შვილის შარვალჩაცმული ტანწვრილი ქალი ამოვიდა. შუბლზე ოფლი თუ წყლის წვეთები შეიმშრალა და სარცხი გვერდით მოიდო.

— ქვევრში რამ ჩაგიყვანათ, ქალბატონო თამარ? — ვეუბნები თითქოს ნაწყენი. თამარი იღიმება და გულწრფელად ამბობს.

— განა რაიმე მიჭირს, შვილო, მაგრამ მივეჩვიე, ომმა მასწავლა ქვევრის რეცხვა, და საერთოდ ბევრი საკაცო საქმე. ვენახის მოვლა კარგი ვიცი. კარგი ყურძენის მოყვანა და, სიმართლე გითხრა, ქვევრის გარეცხვასაც ვეღარ ვანდობ ვერავის. სოფელში სირცხვილით როგორ უნდა გავიარო, თუ ქვევრმა ღვინოს გემო მისცა.

— ალბათ ვენახიც სანაქებო გაქვთ?

— ერთი ჩარექი საკარმიდამო ნაკვეთი მაქვს. ხვალ რთველში გეპატიჟებით, იქ ნახეთ ჩემი ქალობა. თუ გუმანი არა მღალატობს, ერთ ტონას ოჯახის სახმარ ღვინოდ დავწურავ და ხუთ ტონას კი სახელმწიფოს ჩავაბარებ.

თამარმა კალათა და დანა აიღო და ჩვენც მისი ვენახისაკენ გავემართეთ. ღიმილით მოგვდევდნენ მისი შვილები ვახტანგი, მერი და ნატო. თან თამარის მალულად მაფრთხილებდნენ, ვენახი არ დაუწუნო, თორემ ძალიან ეწყინება, ისეთი უცნაური ქალია, არ ვიცით შვილები უფრო მეტად უყვარს თუ თავისი ვენახიო.

მტრედისფერი ჯერ ისევ დაჰკრავდა მოხასხასე ვენახს. აქა-იქ ისევ იგრძნობოდა შაბიამნის ლაქები. კახელი კაცი რომ იტყვის, ზურგზე რომ მოიკიდო, ვაზს გზამდე ვერ გამოიტანო, მართლაც ასეთი აღმოჩნდა თამარის ვენახი. რქაწითელი მოქარბებოდა და საფერავის ჯერ უნაყოფო ნამყენიც იყო გაშენებული. არ ცრუობდა თამარი. ვენახი მართლა სანაქებო იყო.

— რა მარჯვენა დამიდუნდება, რომ ყოველ დილას არ შემოვუარო ჩვენი მეურნეობის ვენახებს, თვალ-გული დატვირთული ვენახის ყურებით არ გავიძღო და ვაზს მოსაფერებლად ერთი-ორი ტკბილი სიტყვა არ ვუთხრა. ამ მიწამ მომცა სიცოცხლე და ამ მიწას უნდა მივცე ჩემი მარჯვენის ძალა, — ამბობს თამარი.

ის დღეც კარგად ახსოვს თამარს, როცა მეურნეობის დირექტორმა გიორგი ხოსროშვილმა გამოიძახა და უთხრა — დღეს მეურნეობა შინმოუსვლელთა პენსიონერ ქვრივებს შეხვედრას უწყობს და პირველი შენ დაგასახელეთო. იმ დღეს დადო სახალხო ფიცი, სანამ მარჯვენაში ძალა მაქვს, მე-

ურნეობიდან არ წავალო, იმ დღეს შეპირდა გიორგის, წლეულს 15 ტონა ყურძენს მოვკრეფო. და პირობა საქმედ აქცია.

მოვდივარ გრემიდან და თან მომყვება გიორგი ხოსროშვილის ღიმილი. ეს გამარჯვებული კაცის ღიმილია, ეს სიხარულის ღიმილია.

გრემიდან ისე ნუ წამოხვალ, საბუეში რომ არ შეიაროო, მითხრეს პარტიის ყვარლის რაიონულ კომიტეტში. იქაურ კომკავშირულ ბრიგადას მიქებდნენ და მეც გრემიდან საბუეში ავუხვიე.

საბუე — ასეთი სახელი შერჩა ამ ლამაზსა და კოპწია სოფელს, კავკასიონის მთის ძირას რომ გაშენებულა. რევოლუციამდე ეს სოფელი მართლც ბუებისა და ჭოტების საბუდრად გადაქცეულიყო და სოფელსაც სახელწოდება იქიდან მიუღია. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ ეზიარა სოფელი ნამდვილ სიკეთეს. დღეს თანამედროვე ცხოვრების ყოველგვარი ღირსებით სარგებლობს აქაური გლეხი. ჩემი ჩასვლაც იმ დროს დაემთხვა, როცა გამალებული მუშაობა იყო გაჩაღებული სოფლის თავსაყარისა და მისასვლელი გზების მოსაასფალტებლად.

მეურნეობის დირექტორი სულიკო დათიკაშვილი სიხარულით მიყვება ამბებს მეურნეობის კომკავშირული ბრიგადისას, რომელმაც თავის სამუშაო ლოზუნგად თელავის რაიონის სოფელ სანიორეს კომკავშირელების მოწოდება გაიხადა, მხარი ვუსწოროთ კომუნისტებს!

საბუელმა მევენახეებმა ივალდებულეს სახელმწიფოს მისცენ 5.000 ტონა ყურძენი, გეგმა კი 4.000 ტონას ითვალისწინებს. ამ მიზნის მიღწევაში გადამწყვეტი სიტყვა კომკავშირულ ბრიგადას ეკუთვნის, რომელსაც თამაზ თავდიდიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ წლის დასაწყისიდანვე 65 ჰექტარი ვენახი გაიპიროვნა.

კომკავშირელ გოგონათა შორის მეურნეობის თვალი გახდა ორი ქალიშვილი ნანა ჟიჟაშვილი და ნანი ბერიაშვილი. ისინი მეურნეობაში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ და მაშინვე ამოუდგნენ გვერდში მეურნეობის ვეტერან მევენახეებს. გოგონები ერთმანეთს შეეჯიბრნენ. შეჯიბრი განსაკუთრებით ყურძნის კრეფის დროს გაცხოველდა. დღეს მე დავასწრებ ვენახში მისვლასო — იტყოდა ნანა ჟიჟაშვილი, მაგრამ ნანი ბერიაშვილი უკვე ვენახში ხვდებოდა. შერჩევითი კრეფა მეურნეობამ 20 სექტემბერს დაიწყო. თვის ბოლოსათვის ნანა ჟიჟაშვილსა და ნანი ბერიაშვილს ათი ტონა ყურძენი ჰქონდათ მოკრეფილი.

სიხარულის სიმღერები ისმის ყვარლის რაიონის ვენახებიდან.

ეს ვაზის სიმღერაა.

გოდერძი ბერიაშვილი

სექტემბერი



# რთველი თბილისშიც შემოვიდა

დ. იაკობაშვილის ფოტო







უბნის უფროსი გ. მაჩაიძე და ამწყობი ზეინკალი მ. ბუჩუკური



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლამაზი კონვეიერი

რეპორტაჟი

ფართო ფანჯრიდან კარგად ჩანს ქარხნის ეზო. დილის ნისლია, ალაყაფთან ნათურა ჯერ კიდევ კაშკაშებს. მოდიან, მოაბიჯებენ ისინი, რომლებსაც ახლახან ეზოში დადგმულ სტენდზე ვეცნობოდით: ნარგიზა, ლალი, ნუნუ, დოდო, მარინე და სხვანი.

მალე დაიწყება სამუშაო დღე, კიდევ ერთი ნაყოფიერი დღე მათს ცხოვრებაში.

— ხომ არავინ აგვიანებს? — ვეკითხებით საამქროს უფროსს შოთა ჯიმშიტაშვილს.

— რას ამბობთ, — იღიმება იგი, — ყველანი 10-15 წუთით ადრე მოდიან.

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვები" ახალგაზრდა საწარმოა. იგი 23 წლის წინათ შეიქმნა, მაგრამ მის კოლექტივს წილად ხვდა დიდი პატივი — რესპუბლიკის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში პირველი გაერთიანების მეთაური საწარმო გამხდარიყო.

ეს არც არის გასაკვირველი. ელექტროგამშვების საამქროებში დამზადებული პროდუქცია — ელექტრომაგნიტური ამამუშავებლები, მმართველი ღილაკები, რელეები, რომლებსაც ჩარხებსა და სხვადასხვა დანადგარებზე იყენებენ, ყოველთვის კარგი ხარისხით და გამძლეობით გამოირჩევა.

„ელექტროგამშვების" კოლექტივმა, რომლის დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ, მეტად მოკლე დროში შეძლო საწარმოო სიმძლავრეთა სრული ათვისება და დიდი გაერთიანების მეთაურობა.

ტრადიცია ერთი ხელის დაკვრით არ იქმნება. იგი წლობით იჭედება, მტკიცდება და ღრმავდება. მაგრამ, თუ სხვებისათვის ბევრი წელი იყო საჭირო, „ელექტროგამშვების" კოლექტივმა ნაყოფიერი შრომის მტკიცე ტრადიციას რამდენიმე წელიწადში ჩაუყარა საფუძველი.

და ეს მოხდა იმიტომაც, რომ აქაური ქალების შრომას დევიზად, ღირსების საქმედ სანიმუშო საწარმოო დისციპლინაზე და მუდამდლე კვალიფიკაციის ამაღლებაზე ფიქრი იქცა.

აი, უკვე ამუშავდა ლამაზი კონვეიერი. თეთრხალათიანი გოგონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნარგიზა რუბაშვილის ბრიგადის წევრები რელეებს ამზადებენ.

— ხომ არაფერი გაფერხებთ? — ვეკითხები ბრიგადირს.

— სამუშაო ადგილები მზად დაგვიხვდა, დეტალებიც საკმაოდ გვაქვს, ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული...

— თუ არ ვცდებით, თქვენი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა რამდენიმე კარგი ინიციატივის ავტორიც არის. ახალი ხომ არაფერი დაგიწყიათ?

— „ძველი" თაოსნობები „დაგვიგროვდა", გვინდა მათი ყველა მოთხოვნის დაცვა განვამტკიცოთ, — იღიმება ნარგიზა, — ჩვენი საწარმო რუსთაველთა თაოსნობის მიმდევარია და ამ მოძრაობამ ცოტა ეფექტი როდი მოგვცა, მაგრამ ჯერჯერობით მთლიანად მაინც ვერ გამოვიყენეთ ყველა რეზერვი. ამიტომ, ვფიქრობთ, ისევ ამ ნაცად გზაზე ვეძებოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის და ხარისხის გაუმჯობესების საშუალებები.

— რას გულისხმობთ?

— გოგონებს არ ვემდური, მაგრამ ყველას ერთნაირი საწარმოო მაჩვენებლები როდი აქვს. ვცდილობთ ეს განსხვავება, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღმოვფხვრათ, მაჩვენებლები მაღალი, სტაბილური გავხადოთ. თუ ეს ვერ შევძელით, გაგვიჭირდება ჩვენი ვალდებულების შესრულება... დიახ, გადაწყვეტილი გვაქვს ხუთწლედში ყოველი ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში შევასრულოთ, არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი, ამასთან ჩვენი ნახელავი მხოლოდ საუკეთესო ხარისხისა იყოს.

— შეძლებთ ამ პირობის განაღდებას?

— ეჭვი არ გვეპარება, რომ ვალდებულების პირველ მუხლს შევასრულებთ და შეიძლება ვადაზე ადრეც, მაგრამ ხარისხის საქმეში ზოგჯერ გვიჭირს. ეს იმიტომ, რომ მოწოდებული დეტალების გარკვეული ნაწილი დეფექტიანია და იძულებული ვხდებით ვარჩიოთ, ამას კი ცოტა დრო როდი მიაქვს. რა დასამალია და, ჩვენს გოგონებს ხანდახან ნერვები ღალატობთ, სიჩქარეში ზოგჯერ წუნსაც გაურევენ. ამიტომ კრებაზე მოვუწოდეთ ყველას — თითოეული მუშა გახდეს ტექნიკური კონტროლიორი...

ახალგაზრდული ბრიგადის ამ მოწოდებას, „ელექტროგამშვებში" დღეს 400-მდე ქალი გამოეხმაურა და შედეგიც კარგია. სულ უფრო ნაკლები მზა პროდუქცია ბრუნდება უკან შესასწორებლად და მომხმარებელთა რეკლამაციებიც შემცირდა.

საწარმოს ეზოში გაჩნდა სტენდი: „რა გააკეთე შენს სამუშაო ადგილზე პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად?". სტენ-

ბრიგადირი ნანა ირემაშვილი (მარცხნივ) და მისი ბრიგადის წევრები ლ. მესხი და ვ. ვარდანაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე ნარგიზა რუბაშვილის გვერდით ნახავთ ლალი ბიბილაძის, მარინა ყორყოლიანის, ლალი წივილაძის, ნუნუ დაუშვილის, დოდო სიხარულიძის, გიული ოთიაშვილის გვარებს. მოწინავე ბრიგადებში გაერთიანებული გოგონები არა მარტო გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებებს, არამედ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

ამწყობი საამქროს გოგონების თაოსნობის შედეგია, რომ სულ უფრო იზრდება ხარისხისნიშნიანი პროდუქციის დამზადება. თვითონ განსაჯეთ: თუ 1976 წელს მთელ გაერთიანებაში პროდუქციის 5,6 პროცენტი ხარისხის ნიშნით გამოდიოდა, ახლა ნაწარმის 25,9 პროცენტი ამ საპატიო ხუთკუთხა დამღით მზადდება, 8 სახეობა კი უმაღლესი სახელმწიფო სტანდარტის დონეზეა. ამასთან, გაერთიანების კოლექტივი ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა რიგებშია, მან ხუთწლედის განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით 2 მილიონ 900 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ყოველივე ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ აქ დაინერგა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, განხორციელდა საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიების შედეგად 2 მილიონ 500 ათასი მანეთი დაიზოგა. ცხადია, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა ნაწარმის თვითღირებულება.

ამიტომაც იყო, რომ გაერთიანების კოლექტივმა 1976-1977 წლებში ზედიზედ ორჯერ დაიმსახურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

შრომის ცხარე დღეები აქვთ ამწყობ ზეინკალ ქალებს. მათ უკვე შეაჯამეს საოქტომბროდ და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულების შესრულების შედეგები, კონსტიტუციისა, რომელმაც მათი შრომა კიდევ უფრო საპატიო გახადა და უფლებები კიდევ ერთხელ განამტკიცა.

...ცვლა მთავრდება. სახელდახელოდ ჯამდება შედეგები. დღის სამი საუკეთესო მაჩვენებელი, მათი ავტორების გვარები მაშინვე საპატიო დაფაზე „ელვა ფურცელზე“ უნდა ალიბეჭდოს. პირველი ვიოლეტა ვარდანაშვილია, მეორე — ეთერ სოხაძე, მესამე — ელენე ელენინა. მათ დღიური ნორმები 130, 120 და 110 პროცენტით შეასრულეს. ქალები გამარჯვებას ულოცავენ და მერე ყველას სამუშაო ადგილები მოჰყავს წესრიგში, რომ მომავალ ცვლას საქმე გაუადვილდეს, ერთი წუთითაც არ მოცდეს ლამაზი კონვეიერი.

**რამინ ჭელიძე**

# რაიონის დღეები

მის ლამაზ სახეს აზრიანი თვალები ამშვენებს. მათში სიჯიუტეც არის, სიამაყეც და ხასიათის სიმტკიცეც. აღარ მიკვირს, რომ კომბაინი სკოლაშივე შეიყვარა, ისწავლა მისი მართვა, და როცა თანატოლები უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობოდნენ, მანქანაზე დაჯდა.

ზაფხულში მზე უხვად გზავნიდა სხივებს მიწისკენ, ზოგჯერ ალმური ასდიოდა ყანებს, ვენახებს, ხოდაბუნებს... ლია ფარადაშვილი მარჯვედ დააგუგუნებდა კომბაინს კოდაში.

შეხედავ და თვალს ვერ მოსწყვეტავ, ქართული ჯიში ჩანს მასში. ასეთები იქნებოდნენ ჩვენი ქალები მაშინაც, როცა ხელით თესავდნენ, ხელით მკიდნენ და თონეში დურნუკის პურს აკრავდნენ. დურნუკი აქაური სოფელია, სადაც საოცარი სურნელების პური ცხვებოდა. და ეს სუნი ქარს სხვა სოფლებშიც მიჰქონდა.

დაიწყეს დედაკაცებმა ცხობაო, — იტყოდა რამდენიმე კილომეტრზე ჩავლილი მგზავრი, ნერწყვს ჩაყლაპავდა და წარმოიდგენდა თონიდან ამოყრილ ოქროსფერ შოთებს, რომ გატეხავ და სილურჯე შემოგანათებს. ამ პურის მხოლოდ სახელი დარჩა, ჯიში დაიკარგა. ახალგაზრდები კი იმაზე ფიქრობენ, რომ თესონ და აიღონ პურის ყანები, როგორიც ადრე მოჰყავდათ, — დურნუკისებური. ალბათ ამასვე ფიქრობენ კოდელი ლია ფარადაშვილი და მისი მეგობარი, მექანიზატორი მარინე იაგოსაშვილი.

თეთრიწყაროს რაიონში 2400 ახალგაზრდა გოგონაა. მათ შრომასა და ცხოვრებაზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. მანგლისში ცხოვრობს ლიანა ბეჟუაშვილი, მემინდვრე, საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატი. ბორბალოს საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდული რგოლი მუშაობს. მისმა ოცივე წევრმა ხახვის უხვი მოსავალი მოიყვანა. ასურეთში მწველავები ქეთინო ტოგონიძე და ლალი გეგეშიძე პირთამდე ავსებენ რძის კასრებს.

საკუთარი „ჟიგული“ აქვს ორბეთის სასოფლო საბჭოს. ორბეთელებმა იგი ჯილდოდ მიიღეს, როცა ინიციატივა წამოიწყეს და მოსახლეობაში პირუტყვის სულადობა მნიშვნელოვნად გაზარდეს. საბჭოს ახალგაზრდა თავმჯდომარე ბაბული წიკლაური ხან ზირბითის წყალსადენზეა, რომელიც სულ ახლახან ჩადგა ხალხის სამსახურში, ხან ორბეთის მაგისტრალური წყალსადენის რეკონსტრუქციას ხელმძღვანელობს.

მას დობილები ახვევია გარს. დობილია ის 300 ქალი, რომლებიც საერთო საქმისათვის იღვწიან. ექიმი გალინა გეგეჭკორი ავადმყოფებს უვლის, ფოსტის გამგე სონია ხრიპაკი ჟურნალ-გაზეთებით ამარაგებს სოფელს, პედაგოგი ნუნუ უსტიაშვილი პატარებს სკოლაში ეგებება...

ორმოცდაათამდე ქალი ფერმაში ტრიალებს, კარგი შრომისათვის მწველავმა მარო ნარიმანიძემ „ჟიგული“ ურიგოდ მიიღო. ეთერ ბექაურის, თამარ ნარიმანიძის, მარინე წიკლაურის, მანანა ნარიმანიძის, ლეილა ბექაურის და სხვათა მხრებზე გადადის ის დიდი შრომა, რომელიც რაიონში გეგმების შესრულებისათვის არის გაჩაღებული.

ხუთწლედის მაჯისცემა იგრძნობა თეთრწყაროში. მის მინდვრებში, ყანებში, ვენახებში, ფერმებში 4.332 ქალი შრომობს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის საპასუხოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში 682 ქალმა გაიმარჯვა. წლების მანძილზე პირველობას ინარჩუნებენ თეთრიწყაროს მეურნეობის ბრიგადირი ვ. კამიშინა, ორბეთელი მეხბორე ვ. აფციაური, კოდელი მეფრინველეები ჟ. ღონიაშვილი და მ. გოგოლიშვილი.

ხანდაზმულობაც ვეღარ აჩერებს შრომას შეჩვეულ ხელებს. 80 წლის რიმსო პეტრიაშვილი კვლავ კოდის საბჭოთა მეურნეობაშია. პირველი ტრაქტორისტი ტატიანა მეტრეველი, მართალია, ტრაქტორიდან ჩამოვიდა, მაგრამ ასურეთის მაღაზიაში ემსახურება ხალხს.

398 ქალი ახალგაზრდობის აღზრდისათვის იღვწის. 450 ქალი ხალხის ჯანმრთელობის სამსახურშია, 208 ქალი ვაჭრობაშია დასაქმებული.

სახელი გაითქვეს კოდის მეფრინველეობის



ტატიანა მეტრეველი



ქეთევან ახვლედიანი



ირინა მოროზოვა



ბაბული წიკლაური



იზოლდა დანელია



ლია ფადარაშვილი

ფაბრიკის მეფრინველეებმა ანა ზუაშვილმა, ტასო სეხნიაშვილმა, ვარა აღდგომელაშვილმა, ნადია პეტრიაშვილმა და სხვებმა. ისინი კარგად შრომობენ და შედეგიც კარგი აქვთ — საუკეთესო ხარისხის ფრინველის ხორცს აწვდიან მოსახლეობას.

აქ თუ ადამიანი იშრომებს, მიწა უხვმოსავლიანია და კარგ ნაყოფს მისცემს, იალაღები ბლომად არის და საქონელს არ მოშივდება, წყლები გემრიელია და ჯანისმომცემი. ჩანს, ბუნებას ყველაფერი უხვად გაუმეტებია კაცისთვის, მაგრამ მშრომელი მარჯვენა მაინც თანდათანობით აკლდება ქვემო ქართლის ამ ულამაზეს მხარეს.

20-25 წლის წინათ აქ მეტი ხალხი ცხოვრობდა, მეტი ბავშვი დადიოდა სკოლაში, მეტ ახალგაზრდას შეხვდებოდით სოფლებში. სოფლებს ხალხი აკლდება, თითოოროლანი თანდათან მიდიან და უკან აღარ იხედებიან, თბილისსა და მის გარეუბნებში სახლდებიან, რის გამოც სამდურავს ამბობენ სოფლები. მათ ახსოვთ ომის დღეები, როცა 5.828 ყმაწვილი წავიდა ფრონტზე და მათი ნახევარი აღარ დაბრუნებულა. ეს დანაკლისი ვერ მოუნელებიათ, რომ...

ისიც ახსოვთ, ომის შემდგომ წლებში კომკავშირის რაიკომის ახალგაზრდა პირველი მდივანი რომ ჩამოვიდა ერთი ჩითის კაბით და ქირით დაიწყო ცხოვრება. მაშინ ამ მდივანს — ნათელა ფაილოძეს ხშირად ერთი დღე არ ჰყოფნიდა სოფლიდან სოფელში ფეხით ჩასასვლელად, მაგრამ გზაზე ხალხი ხვდებოდა, გზას ასწავლიდა, თბილ სიტყვას ეტყოდა და სავალს უადვილებდა. ნათელა ხალისით აბამდა ხალხს იმ დიდ შრომაში, აღმშენებლობა რომ ჰქვია. რა ენთუზიაზმით გაჰყავდათ გზა ფარცხისიდან მანგლისისაკენ. ეს უმოკლესი, რაღაც 29 კილომეტრიანი გზა იყო და ხალხს უხაროდა, რომ მანგლისში მისასვლელად თბილისიდან შემოვლა აღარ დასჭირდებოდათ. რა ხალისით დაიწყეს საშუალო სკოლის შენობის აგება თეთრწყაროში, მაშინ მდივანს სოფელში ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა ხალხი, სოფელი ხალხით იყო სავსე.

მას შემდეგ 25 წელი გავიდა.

ფარცხისი პატარა სოფელია მანგლისის გზაზე. ადრე აქ დაწყებითი სკოლა იყო, ახლა კი აღარ არის. აქაური ბავშვები მანგლისში სწავლობენ. სოფელი გუდარეხი ისე დაიცალა, რომ ხუთი კომლიღა დარჩა. აბა, რაღა სკოლა იქნება.

შეხვეტილაში რვაწლიანი სკოლა იყო, ახლა ოთწლიანია. აქაური ბავშვებიც იმდენად ცოტანი არიან, რომ მათაც მანგლისის სკოლა-ინტერნატი იტევს.

ახალსოფელში ადრე კარგი კოლმეურნეობა იყო. აქ მთიულები ცხოვრობენ. რვაწლიანი სკოლა ჰქონდათ, ახლა ოთხწლიანი აქვთ.

კლდეისში რვაწლიანი სკოლა იყო, ახლა ოთხწლიანია. სოფელს გზა არ უვარგა, მარტო საურმედ თუ გამოდგება.

სოფლებიდან პირველად ახალგაზრდები მიდიან, რადგანაც ზოგი ვერ გაექცა „მხიარული ცხოვრების“ ცდუნებას.

ვინც დარჩა, ისინი ისევ შრომობენ, მაგრამ დღესაც ბევრი არაფერი კეთდება მათი კულტურული მომსახურებისათვის. ასეა სოფლებში კალდაფაში, სამღერეთში, ახალშენში, კლდეისში, იფნარში, ნავთიანში, ლიპაში, ნაპილნარში, ხუპისში, გუდარეხში, მოხისში, ნამტვრიანში, იქ არაფერია — არც სპორტული წრეები, არც კინოფილმები, არც სანახობა-გასართობი. ამიტომ მარტო შრომის რომანტიკამ სოფლად ახალგაზრდობის ნახევარიც ვერ დაამაგრა. არადა, ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რა დიდი ძალაა ახალგაზრდობა რაიონის წინსვლაში!

არც ბავშვიანი დედები არიან კარგ დღეში. მათ შრომა სწყურიათ, სოფლების უმრავლესობას კი ბაგა-ბაღები არ გააჩნია.

— ვერა და ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ორბეთში ბაგა ან ბაღი გაგვეხნა, სადაც ჩვენი ქალები მოიყვანდნენ ბავშვებს, თვითონ კი ბევრს სასარგებლო საქმეს გააკეთებდნენ მეურნეობაში, — თქვა ორბეთის სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბაბულია წიკლაურმა რაიონის მოწინავე ქალთა ყრილობზე.

ყრილობა ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებს მიეძღვნა.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მიხეილ დალაქიშვილმა ამ შეკრებაზე სინანულით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი რაიონის ქალთა საკეთილდღეოდ.

აბა, როგორ შეიძლება იმის მოთმენა, რომ ბევრ სოფელს არა აქვს საექიმო პუნქტი, არ ჰყავს ექიმები და ხშირ შემთხვევაში ქალი თეთრიწყაროს საავადმყოფოში მისვლამდე გზაში მშობიარობს.

საბჭოთა მეურნეობების ფერმებში ქალები ხელით შრომობენ, ტექნიკა მათ სრულებით ვერ ეხმარება, ნაშრომ-ნახაფართათვის არც შხაპებია მოწყობილი, არც სასადილო, არც მაღაზია. მათ არ მკურნალობენ, არ გააჩნიათ მოძრავი აფთიაქი, არ სარგებლობენ კუთვნილი შეღავათებით, არა აქვთ დასვენების დღეები, არ ჯილდოვდებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ბევრ სოფელში ცუდი გზებია, წყალს შორიდან ეზიდებიან, ვერ სარგებლობენ კავშირგაბმულობით.

იქ, სადაც ყოველგვარი ბუნებრივი პირობებია მოსახლეობის მჭიდროდ დასახლებისა და ცხოვრებისათვის, ხალხი უნდა მრავლდებოდეს.

ეს ვასილ ბარნოვის, არსენა მარაბდელის და ნიკოლოზ მუსხელიშვილის სამშობლო კუთხეა.

აქ ყოველი მტკაველი მიწისა, ხალხის ცხოვრებით უნდა ხარობდეს.

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედაჩემის გამომშვიდობება

**მწერალი და დიპლომატი რომენ გარი ცნობილია თავისი საუცხოო წიგნით „ცის ფესვები“. ეს წიგნი 1956 წელს გონკურის პრემიით დაჯილდოვდა. მწერლის ნაწარმოებებიდან ყველაზე უახლესი და ალბათ ყველაზე წარმტაცია 1961 წელს გამოქვეყნებული „გარიჟრაჟის დაპირება“, რომლის ერთ თავსაც ვთავაზობთ მკითხველს.**

* * *

სალონ დე პროვანსში, სადაც საავიაციო სკოლის სერჟანტ-ინსტრუქტორად ვიყავი მობილიზებული, ჩემი ავადმყოფი დედა ხუთი საათი ტაქსით მოდიოდა, რათა ვენახე და გამომშვიდობებოდა.

მე ის სასადილოს წინ, ძველი, დანჯღრეული რენოს მარკის მანქანიდან გადმოსული შევამჩნიე. ყავარჯნითა და სიგარეტის წევით გადმოვიდა. ჯარისკაცები გამქირდავად შესცქეროდნენ. თუმცა გავღიზიანდი და თანაც შემრცხვა დედის საქციელისა, ასე მოურიდებლად რომ შემოიჭრა მამაკაცთა საზოგადოებაში, სადაც ჩემი რეპუტაცია „მკაცრ“, „ნამდვილ“, „მოსვირინგებულ“ მამაკაცად იყო ყველასათვის ცნობილი, მაინც თამამად გავემართე მისკენ.

ვეხვეოდი და ამაოდ ვცდილობდი მარჯვედ მომექცია ტაქსის უკან, რომ სალდათების მზერისაგან დამემალა. მაგრამ, ნურას უკაცრავად, მან მხოლოდ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან, ჩემი შეხედვით რომ უკეთ დამტკბარიყო და ყველას გასაგონად, მკვეთრი რუსული აქცენტით წამოიძახა:

— გინიმერი![1] შენ მეორე გინიმერი იქნები! შენ ნახავ, დედაშენი ყოველთვის მართალია!

ჩემს ზურგს უკან გამქირდავი ხითხითი ატყდა, დედაჩემი კი კაფეს წინ ჩამწკრივებულ მხიარულ სალდაფონებს ყავარჯნის ქნევით ემუქრებოდა და შთამაგონებლად აცხადებდა:

— შენ გმირი იქნები, შენ გენერალი იქნები, საფრანგეთის ელჩი, ამ ვიგინდარებმა რა იციან ვინა ხარ შენ!

როცა შევეცადე გულმოსული ჩურჩულით ამეხსნა, რომ იგი სამუდამოდ მიტეხს სახელს ავიატორების თვალში, დაიბნა და ტუჩები აუკანკალდა:

— მაშ, გრცხვენია შენი მოხუცი დედისა?

ამის გაგონება და, თვალის დახამხამებაში, ჩემი ყვინჩილობის, ღირსებისა და სიმკაცრის ყველა ზიზილპიპილი, რითაც გულმოდგინედ ვიყავი მორთული, მხრებიდან ჩამომცვივდა. აღარც სიცილი მესმოდა, არც ჯარისკაცების დამცინავ მზერებს ვხედავდი, დედის მხრები ჩემს მკლავებში ჩავმალე და მხოლოდ იმ ბრძოლებზე ვფიქრობდი, რომელიც დედის გულისათვის უნდა გადამეტანა. ვფიქრობდი იმ პირობაზე, რომელიც ჩემს თავს მივეცი ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე: ჩემდამი თავგანწირვის გამო, დედისათვის ღირსეული სამაგიერო გადამეხადა და, ერთ დღეს, სახლში მას შემდეგ დავბრუნებულიყავი, როდესაც ქვეყნიერების სიმდიდრის გაყოფაში იმ ადამიანებთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდოდი, ვისი სიძლიერე და სიმკაცრეც სიცოცხლის პირველი ნაბიჯებიდანვე ჩემს თავზე გამოვცადე.

ცამეტი წლისა ნიცის ლიცეუმის მეოთხე კლასის მოსწავლე ვიყავი. დედას სასტუმრო ნეგრესკოს მოსაცდელში ერთი „ვიტრინა“ ჰქონდა, სადაც მდიდრული მაღაზიის მეპატრონისგან ნაწყალობევ ნივთებს ჰყიდდა. შარფი, ქამარი თუ პერანგი, რომ გაიყიდებოდა, შემოსავლის ათი პროცენტი მას რჩებოდა. მთელი დღე უდარაჯებდა შესაძლო მყიდველებს, ვინაიდან პური ჩვენი ყოველდღიური არსებობისა მთლიანად ამ მერყევ კომერციაზე იყო დამოკიდებული.

ამ ცამეტი წლის განმავლობაში იგი მარტო იბრძოდა მამაცურად, თვიდან თვემდე სარჩოს მოსაპოვებლად: კარაქისათვის, ფეხსაცმლისათვის, ბინის ქირისა, ტანსაცმლისა და შუადღის ბიფშტექსისათვის, იმ ბიფშტექსისათვის, რომელსაც იგი გამარჯვებული მებრძოლის იერით ყოველდღე თეფშით დგამდა ჩემს წინ გასხივოსნებული სახით.

თვითონ არასოდეს არ ეკარებოდა ხორცს და მარწმუნებდა, ხორცი და ცხიმი მკაცრად მაქვს აკრძალულიო.

ერთხელ, სადილობის შემდეგ, სამზარეულოში შევედი წყლის დასალევად. დედა ტაბურეტზე ჩამომჯდარიყო, მუხლებზე ტაფა დაედგა, რომელზეც ბიფშტექსს მიწვავდა ხოლმე. ტაფის ცხიმიან ფსკერს გულდასმით ასუფთავებდა პურის ლუკმით, ხარბად ჭამდა. შეეცადა, მყის ტაფა პირსახოცის ქვეშ შეემალა, უმალვე თვალნათლივ წარმოვიდგინე რეალური მოტივი იმ ჭეშმარიტებისა, თუ რატომ იცავდა დედაჩემი ვეგეტერიანულ რეჟიმს.

დედა ცდილობდა ვაჟკაცური გავზრდილიყავი. ალბათ ჩქარობდა, იგი ხომ უკვე 51 წლისა იყო.

— დღეს დაწერე?

— დიახ, მე დღეს დავიწყე დიდი ფილოსოფიური პოემის წერა სულების განახლებასა და მიგრაციაზე.

— ლიცეუმი?

— მათემატიკაში ნული მაქვს.

დედა ჩაფიქრდა.

— მათ შენი არაფერი გაეგებათ, ბოლოს ინანებენ, შერცხვებათ. შენი გვარი ერთ დღეს ოქროს ასოებით ამოიტვიფრება ლიცეუმის კედლებზე. ვნახოთ რანი იქნებიან ისინი ხვალ. მე მათ შენს უკანასკნელ პოემას წავუკითხავ. შენ იქნები დანუნციო, შენ ვიქტორ ჰიუგო იქნები! შენ ნობელის პრემიის ლაურეატი გახდები!

სამუშაოდან რომ დაბრუნდებოდა, დაჯდებოდა, სიგარეტს მოუკიდებდა და გასხივოსნებული ღიმილით მიყურებდა. შემდეგ ჩემს მხრებს ოცნებით რაღაც ნიშნებს მიაკერებდა და ბედნიერი იტყოდა:

— შენ საფრანგეთის ელჩი იქნები.

თუმცა ელჩობისა მე არაფერი გამეგებოდა, მაგრამ თანახმა ვიყავი, რადგან გადაწყვეტილი მქონდა, რომ რაც დედას მოესურვებოდა, მეც ის გამეკეთებინა.

---

[1] გინიმერი ჟორჟ — (1894-1917) ფრანგი მფრინავი, პირველი მსოფლიო ომის გმირი, საფრანგეთის ავიაციის ლეგენდარული ფიგურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, — ვეუბნებოდი დაუდევრად.

— შენ ავტომანქანა გექნება.

მან ხომ წელან მთელი ქალაქი ფეხით შემოიარა.

— საჭიროა ცოტა მოთმინება, აი ეს არის თავიდათავი.

თექვსმეტი წლისა რომ გავხდი, დედამ ნიცის სასტუმრო-რესტორნის ოტელ-პანსიონ „მერმონტის“ მმართველად დაიწყო მუშაობა. დილის 6 საათზე წამოდგებოდა, ერთ ჭიქა ჩაის დალევდა, ჩაიცვამდა, ყავარჯენს აიღებდა და ფეხით გაუყვებოდა ბუფის ქუჩას. შინ ყოველთვის ყვავილებითა და ხილით ხელსავსე ბრუნდებოდა. შემდეგ სამზარეულოში ჩადიოდა. ერთ დღეს, ოციოდჯერ რომ ავიდა და ჩავიდა კიბეზე, უცბათ სკამზე ჩამოჯდა გაფითრებული სახითა და ნაცრისფერი ტუჩებით; თვალები დახუჭა და ხელი მკერდზე დაიდო. ჩვენს ბედად ექიმის დიაგნოზი მეტად სწრაფი და სარწმუნო აღმოჩნდა: საქმე ჰიპოგლიკემურ კომას ეხებოდა, რომელიც ინსულინის დიდი დოზის შეყვანით იყო გამოწვეული.

ასე გავიგე ის, რასაც დედა ორი წლის განმავლობაში მიმალავდა: დიაბეტით იყო ავად და, ყოველ დილით, სანამ მუშაობას შეუდგებოდა, თურმე ინსულინს იკეთებდა.

შიშმა ამიტანა. დედის ნაცრისფერი, გაფითრებული სახე, მოწყვეტილად ჩამოკიდებული თავი და მტკივნეულად მკერდზე მიჭერილი ხელი არასოდეს სტოვებდა ჩემს გონებას. იმაზე ფიქრი, რომ დედა შეიძლება მანამდე მომკვდარიყო, ვიდრე ნატვრას ავუხდენდი, რომ შეიძლება ეს ქვეყანა იქამდე დაეტოვებინა, სანამ სამართალს იპოვიდა, კეთილგონიერების, კეთილზნეობის და კანონიერების წინაშე ბედის გამომწვევად მიმაჩნდა.

აღშფოთების უფლება არა მქონდა. ერთხელ მორიდებით დავუწყე დარწმუნება, ალბათ, უკეთესი იქნება სწავლა შევწყვიტო, მუშაობა დავიწყო და ფული ვიშოვო-მეთქი. არაფერი უთქვამს, წყენით შემომხედა და ტირილი დაიწყო. მას შემდეგ ეს საკითხი აღარ დამისვამს. ჩემი მომავლის ლეგენდაში ხომ დედა თავისი სიცოცხლის მიზანს ხედავდა. უნდა დამეძლია ჩემი მორცხვობა და ჩემივე სურვილების საწინააღმდეგოდ მევლო, მეცადა დანაპირები შემესრულებინა, ხორცი შემესხა ჩემი აბსურდული და ნაზი ოცნებისათვის.

სამხედრო საჰაერო ფლოტში 1938 წელს ჩამრიცხეს. ომი რომ დაიწყო, დედა ჩემთან სალონ დე პროვანსში ძველი, რენოს მანქანით ჩამოვიდა, ზემოთ რომ ვახსენე. ბალახებში მოდიოდა, ყავარჯენს ეყრდნობოდა და ავი თვალებით უმზერდა ჩვენს ავიაქონებას.

— ყველა თვითმფრინავი თავლიაა, — შენიშნა მან, — შენ კი ასე მგრძნობიარე ყელი გაქვს, ხშირად ცივდები. თავი ვერ შევიკავე და ვანიშნე, გერმანიის ავიაციისაგან ანგინის მეტი საშიშროება თუ არ მელის, ნამდვილად იღბლიანი ვყოფილვარ მეთქი. დედას სახეზე წამით მფარველური ღიმილი გადაეფინა და ირონიულად შემათვალიერა.

— შენ არაფერიც არ დაგემართება, — მითხრა წყნარად.

მისი სახის გამომეტყველება სრულ თვითდაჯერებას გამოხატავდა. იტყოდით, ბედისწერასთან ხელშეკრულება დადო და თავის უიღბლო სიცოცხლის საფასურად მას რაღაც პირობები გამოსტყუაო. თავადაც ამაში დარწმუნებული ვიყავი, სწორედ ამ საიდუმლოს შეცნობა რისკისა და შიშის გრძნობას სრულიად მიქრობდა, ხელ-ფეხს მიხსნიდა და თავისუფლად ვნავარდობდი ყოველგვარი საშიშროების შუაგულში.

— ალბათ ათიდან ერთი მფრინავი თუ გადაურჩება ამ ომს. — ვუთხარი დედას.

დედამ უეცრად გაოგნებული და დამფრთხალი თვალებით შემომხედა. ხელი დავუჭირე.

— შენ არაფერი დაგემართება, ამჯერად შენი ზვარაკი მე ვარ.

— დედიკო, პირობას გაძლევ, რომ არაფერი დამემართება.

იგი ყოყმანობდა, მისი სულის სიღრმეში შინაგანი ბრძოლა გამართულიყო, ბოლოს რაღაცა დათმო: — შენ შეიძლება დაიჭრა და ისიც მხოლოდ ფეხში, — თქვა მან.

გერმანელთა შეტევის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე შიკრიკმა ტელეგრამა გადმომცა: „დედა მძიმედ არის ავად. დაუყოვნებლივ ჩამოდი“.

ნიცაში სისხამ დილით ჩავედი და სენტ-ანტუანის საავადმყოფოსკენ გავეშურე. დაღარული, განცვიფრებული და დაბნეული სახე დედას ბალიშში ჩაჰკარგვოდა. სასთუმალთან, მაგიდაზე, ვერცხლის მედალი იდო, მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატში 1932 წელს რომ მოვიპოვე.

— გვერდით ქალი გჭირდება — მითხრა დედამ დამაჯერებლად.

ქალი ყველა მამაკაცს სჭირდება მეთქი, ვუთხარი.

— სხვებზე უფრო მეტად გაგიძნელდება უქალოდ ყოფნა — მიპასუხა.

ცოტა ხნით ბანქო წავითამაშეთ. დედა ეწეოდა და ყურადღებით მათვალიერებდა. ვგრძნობდი, რაღაც გეგმებს ადგენდა, მაგრამ მაშინ არაფრით შემეძლო გამეგო, ან დავეჭვებულიყავი ამ კომბინაციებში, რასაც ამ დროს ხლართავდა. დარწმუნებული ვარ, სწორედ მაშინ ჩაესახა პირველად რაღაც პატარა იდეა.

ვიზიტის დრო მიიწურა. გამოსამშვიდობებლად მივუახლოვდი. მე უძლური ვარ აღვწერო ეს განშორება, სიტყვა არა მყოფნის. თუმცა თავი ამაყად მეჭირა.

— აბა, ნახვამდის!

გაღიმებული დედას ლოყაზე მივეკარი. რადაც მიღირდა ეს ღიმილი მხოლოდ ჩემს დედიკოს შეეძლო გაეგო: ისიც ხომ ასე იღიმებოდა.

— ჩემზე მაინცდამაინც არაფერი იდარდო, ერთი ბებერი ცხენი ვარ, ბოლომდე გავიტან, ცოტას კიდევ გავძლებ. მოიხადე ქუდი. — ქუდი მოვიხადე. დედამ შუბლზე ჯვარი გადამსახა.

— გაკურთხე.

კარისკენ გავემართე. ერთხელ კიდევ შევხედეთ ერთმანეთს ღიმილით. ამჟამად სრულიად დამშვიდებული ვიყავი.

დედის სიმამაცის რაღაც ნაწილი ჩემშიც გადმოვიდა და სამუდამოდ ჩამიჯდა სხეულში.

საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, ჩრდილოეთ აფრიკისა და გიბრალტარის გზით ინგლისში მოვხვდი. დედის პირველი წერილები ჩემი ჩასვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მივიღე. ისინი მალულად გამოეგზავნა შვეიცარიაში, საიდანაც დედის მეგობარი ქალი მიგზავნიდა ინგლისში. არცერთ წერილს თარიღი არა ჰქონდა. სამწელიწადნახევარს, ნიცაში ჩემს დაბრუნებამდე, ეს უთარიღო წერილები ყველგან ეროგულად თან მომყვებოდა. სამწელიწადნახევრის განმავლობაში ამ წერილების სულით ვარსებობდი, ისინი ჩემზე უფრო ძლიერი ნებისყოფით იყვნენ გამსჭვალულნი და ჭიპლარივით აკავშირებდნენ ჩემს სისხლს იმ მამაც გულთან, რომელიც გაცილებით უკეთ იყო გამოწრთობილი, ვიდრე ის, რომელიც ჩემს მკერდში ფეთქავდა და ჩემს სხეულს აცოცხლებდა.

ჩვენი ავიაცია გერმანიის ტერიტორიას ღამით ბომბავდა. მეც ვმონაწილეობდი. ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კომპანიამ ასეთი ცნობა გადასცა: „საფრანგეთის ავიაციამ, რომელსაც ბაზები ბრიტანეთში აქვს, დაბომბა გერმანია“. ამ კომუნიკემ დედაჩემს დიდი სიამოვნება მოჰგვარა.

„ მე სახელოვანი, საყვარელი შვილის დედა ვარ, — მწერდა ის,— ჩვენ აღტაცებით და მადლიერების გრძნობით ვკითხულობთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში შენს გმირულ გამარჯვებებზე. კოლონიის, ბრემენის და ჰამბურგის ციდან შენი გაშლილი ფრთები შიშსა და ძრწოლას თესავს მტრის გულში“. ძალიან კარგად მესმოდა რისი თქმაც უნდოდა დედას: უნდოდა, რომ ყოველთვის, როცა ჩვენი ავიაცია ბომბავდა გერმანიის რომელიმე ობიექტს, თვითმფრინავის ბორტზე მე ვყოფილიყავი. თითოეული ბომბის გასკდომისას, მას ჩემი ხმა ესმოდა, მე გაშლილ ფრონტზე ყველგან ვიყავი და შიშის ზარს ვცემდი მოწინააღმდეგეს. ყოველთვის, როდესაც ბრიტანეთის ავიაცია გერმანელთა თვითმფრინავს ჩამოაგდებდა, დედა, ბუნებრივად, ამ გამარჯვებაში ჩემს დამსახურებას ხედავდა, ბუფის ქუჩის ვიწრო გასასვლელებს ჩემი ვაჟკაცობისა და გამბედაობის ექო უნდა გადმოეცათ. ყველაზე წინ მაყენებდა. მან იცოდა, რომ ეს მე ვიყავი, მე ვინც 1932 წელს ნიცის ჩემპიონატი მოიგო მაგიდის ჩოგბურთში.

დედის წერილები სულ უფრო და უფრო მოკლე ხდებოდა: აჩქარებული, ბატისფეხური ნაწერი, ზოგჯერ ოთხი და ხუთი ერთად მომდიოდა. დედა კარგად იყო, ინსულინი არ აკლდა. „ჩემო დიდებულო შვილო, მე შენით ვამაყობ. გაუმარჯოს საფრანგეთს!“ ამ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალდებში იოტისოდენა კვალიც არ იყო შეშფოთებისა და მაინც რაღაცნაირი ნაღველი ჟონავდა მათში, გაურკვეველი, ამაღელვებელი და უცნაურად სულის შემძვრელი. „ჩემო ძვირფასო პატარა ბიჭო. გეხვეწები არ იფიქრო ჩემზე. არავითარი შიში არ გაივლო გულში, მამაცი იყავი. გახსოვდეს, რომ მე შენ აღარ გჭირდები, რომ შენ კაცი ხარ და არა ბავშვი, რომ თავისუფლად შეგიძლია მტკიცედ იდგე ორივე ფეხზე. ჩემო პატარავ, დაიიმედე მალე... მე ჯანმრთელი ვარ. მოხუცი ექიმი როზანოვი მეტად კმაყოფილია ჩემი ჯანმრთელობით. მოკითხვას გითვლის კეთილი სურვილებით. ჩემო ძვირფასო პატარავ, მამაცი უნდა იყო. შენი დედა“.

გულზე მომიჭირა. ყველაფერი ისე არ იყო რაღაც ნათქვამი ამ წერილში, რაღაც აკლდა. მაგრამ არსებითი ის იყო, რომ დედა ცოცხალი იყო. ყოველი ცისმარე დღე კი მაიმედებდა, რომ დროზე მივუსწრებდი.

ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმის შემდეგ, ნიციდან მოსულ წერილებში მე ვგრძნობდი ერთგვარ სიხარულს და ისეთ გარკვეულობას, თითქოს დედაჩემმა ბოლოსდაბოლოს უკვე მიაღწია თავის მიზანს. წერილებში ერთგვარი ნაზი იუმორიც კი ჩანდა, თანაც ისეთი, რომ მიჭირდა კიდეც მისი გაგება. „ჩემო საყვარელო შვილო, რამდენმა წელმა განვლო, რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს. ასე მგონია, უკვე მიეჩვიე კიდევაც უჩემობას. ასეც უნდა იყოს, მე ხომ მუდმივად ცოცხალი არ ვიქნები. დაიმახსოვრე, მე ყოველთვის შენი იმედი მქონდა, შენში არაფერი მეეჭვებოდა. ვიმედოვნებ, როდესაც შინ დაბრუნდები, ყველაფერს გაიგებ და მაპატიებ, მე არ შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავი“.

რა უნდა გაეკეთებინა? რა უნდა მეპატიებინა? ამაოდ ვიბურღავდი ტვინს ამ ფიქრებით.

პარიზი ის-ის იყო განთავისუფლდა, და მე წინააღმდეგობის მოძრაობასთან კავშირის დასამყარებლად ალპ-მარიტიმში ჩავფრინდი. შიშისაგან სული მძვრებოდა, დროზე რომ ვერ მომესწრო ჩასვლა. სამხრეთით დესანტის გადმოსხმამ, პარაშუტით ჩაფრენის ჩემი პროექტი ცოტა ხნით გადადო. ბოლოს სპეციალური ბრძანება მივიღე: „სასწრაფო მივლინება კავშირის აღდგენისათვის“. განთავისუფლების მწვანე და შავი ლენტი აკიაფდა ჩემს მკერდზე, იქ, სადაც საპატიო ლეგიონის ორდენი, ომის ჯვარი და ხუთი თუ ექვსი სხვა მედალი მქონდა მიმაგრებული. კაპიტნის მოსირმული, შავყაითნიანი სამხრეებით, თვალებამდე ჩამოწეული ქუდით, გაზეთებიდან ამოჭრილი ჩემი ცხოვრების რომანით (ინგლისურ და ფრანგულ ენებზე), რომელიც ღაზლის ჩანთაში მქონდა ჩაწყობილი, ჯიბეში წერილით. რომელიც ჩემს კარიერას აღმატებას უქადდა, ოცნებით მთვრალი, ახალგაზრდული ღირსებით ვბრუნდებოდი შინ. ყველაფერმა ამან, ჩემი აზრით, ფორმა და აზრი მისცა საყვარელი ადამიანის სულსა და გრძნობას.

ჩემთვის ძვირფასია ამ მოთხრობის გაგრძელება და მეც ამიტომ ვჩქარობ. სასტუმრო პანსიონ-მერმონტში არავინ შემხვედრია ნაცნობი. დედაჩემი აქ ბუნდოვნად ახსოვდათ, თუმცა კი გაეგონათ, მაგრამ არ იცნობდნენ. ჩემი მეგობრები გაფანტულიყვნენ, რამდენიმე საათი დამჭირდა, რომ სინამდვილე გამეგო. დედა სამწელიწადნახევრის წინათ მომკვდომოდა, ინგლისში ჩემი წასვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ.

მაგრამ დედამ მშვენივრად იცოდა, რომ ჩემი ყოფნა მისი მხარდაუჭერლად შეუძლებელი იყო და, ამიტომაც სიფრთხილის ყველა ღონისძიება იხმარა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მან 250-მდე წერილი დაწერა, რომლებიც თავის მეგობარს გაუგზავნა შვეიცარიაში. მე არაფერი უნდა მცოდნოდა, წერილები რეგულარულად უნდა მიმეღო. აი სწორედ ეს იყო ის გადაწყვეტილება, ეშმაკური კომბინაცია, მის გამოხედვაში რომ დავიჭირე მაშინ, როდესაც სენტ-ანტუანის საავადმყოფოში ვნახე უკანასკნელად.

ასე განუწყვეტლივ ვიღებდი დედისაგან ჩემთვის საჭირო ძალასა და სიმამაცეს, ვიღებდი მაშინაც კი, როცა იგი, სამ წელზე მეტი იყო, რაც მიწაში იწვა.

ფრანგულიდან თარგმნა შოთა მირაშვილმა



პოეტი იოსებ ნონეშვილი 60 წლისა გახდა. ამ წლების მანძილზე თავისი შემოქმედებითი ცხოვრებითა და მოღვაწეობით პოეტმა თავისი ხალხის, თავისი მკითხველების უზომო სიყვარული დაიმსახურა. დიდია იოსებ ნონეშვილის პოპულარობა. არ ყოფილა ქართველი ხალხის ცხოვრებაში მოვლენა, რასაც საქმითა და კალმით არ გამოხმიანებოდა პოეტი. მისი ლირიკა, მისი მოქალაქეობრივი მოტივით აღსავსე შემოქმედება, ახალგაზრდობის უდიდესი სიყვარულით სარგებლობს მარად. ბევრი მათგანი სიმღერად იქცა, იმდენად მელოდიურია პოეტის ყოველი ლექსი, ყოველი სტრიქონი.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველები, რედკოლეგია და რედაქცია გულითადად ულოცავს იოსებ ნონეშვილს საიუბილეო თარიღს. დაე, დიდხანს იდგეს მისი სასიქადულო კალამი მამულის სამსახურში! დიდხანს გვატკბობდეს მისი ლაღი ლექსი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნედლი სალამურები

რა ძნელია, შენი სიტყვა თქვა პოეზიაში. ეს ალბათ მშვენივრად იციან ახალგაზრდა ავტორებმა მაყვალა მანდენაშვილმა, ნანა ჩემიამ, მარინე ხმალაძემ, დალი მაზმიშვილმა და ნინო არსენაშვილმა. რედაქციაში მათ მიერ მოწიწებით მოტანილი ლექსები ერთ სასიკეთო ნიშანს უთუოდ გვიმჟღავნებს. ეს ნიშანი განცდის გულწრფელობა გახლავთ. ახლა ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ პრესის ფურცლებზე... დაბადებულნი არიან თუ არა ისინი ნამდვილი ლიტერატურული ცხოვრებისათვის, ერთი ან ორი ლექსით ამის დადგენა შეუძლებელია. დაე, პირველი დასტამბვის სიხარულს ფართოდ გაეხსნას გზა მათი შესაძლებლობებისათვის!

პროზაში ქალები რომ ძალზე იშვიათად მოდიან, ეს კარგა ხნის შენიშნული ფაქტია. მით უფრო სასიამოვნო იყო მანანა მექვაბიშვილის, როგორც პროზაიკოსის გაცნობა. მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ მისი მოთხრობები და ჩანახატები არ საჭიროებს ამ თვალსაზრისით ნაგულისხმევ შეღავათს. პირველივე ნაწარმოებები გვიდასტურებს, რომ მათ ავტორს აქვს დღევანდელი ცხოვრების რიტმის გრძნობა, იგრძნობა სიტყვისადმი სერიოზული დამოკიდებულება, ქართული პროზის დონისა და მოთხოვნილებების მიმართ პასუხისმგებლობა. ეს ძვირფასი თვისებაა და, ვფიქრობ, ახლო მომავალში თავის საუკეთესო მოთხრობებს დააწერინებს მანანა მექვაბიშვილს.

ჯანსუღ ღვინჯილია

* * *

იმ ფიქრს გაუმარჯოს,
ღიმილს და სიკეთეს,
ჩვენს გულში ფარულად
ბუდეს რომ იკეთებს!..

ნეტარს გაუმარჯოს, ყველასგან
დაფარულს —
სიყვარულს... სიყვარულს,
თუ გინდაც დაკარგულს!..

ოხვრას გაუმარჯოს
და გრძნობას მორეულს,
ზღაპარს რომ გვაგონებს,
ნაცნობს და შორეულს!..

## ლურჯი ზეცა

თეთრი ქულა ცისფერ კაბას
დასჩენია ისე,
თითქოს თავის სილამაზეს
ივსებს, ივსებს, ივსებს.

ლურჯი ზეცა მოკამკამე,
ოქროსფერი წვიმა,
გულუხვია მზე ხატულა,
ციდან ოქროდ ცვივა.

და შვიდფერი ცისარტყელა
მორგებია წელზე,
კიდევ უფრო ცის შემკობას
რა ფერებით შეძლებ.

თეთრი ქულა ლურჯ კაბაზე,
ოქროსფერი წვიმა...
გულუხვია მზე ხატულა
ციდან ოქროდ ცვივა...

მაყვალა მანდენაშვილი

## პასუხი

მე ხომ ფატმანი არა ვარ და
აღარც მანონი,
ჩემს ფერებში რომ ვაკისკისო
ფერი ღალატის.
დასაბამიდან მაგიჟებდნენ
გრილი წყარონი,
დასაბამიდან ამ სიგიჟეს
დავატარებდი...

დავატარებდი —
ერთგულებაც ლურჯი ფერია,
ფერი, —
ეხლა რომ დასცინიან
ბრძენი ტინები,
მე მხოლოდ მაშინ გამიგებენ,
ვით ოფელიას,
გრილ წყაროზე რომ
ლურჯ ცრემლებად
ავტივტივდები...

ნანა ჩემია

## აპრილი

მოილერება თეთრი გოგო
ფეხებშიშველი,
ფხვიერ ბელტებში ჟუჟუნა თმას
დროდადრო ჩაშლის...
ყვითელ სინათლეს შემოანთებს
ზედაზნის შვინდებს,
წითელ ტუჩებზე ფერს გადისვამს
ნუშის და ვაშლის!
აიშლებიან ერთიანად ჩიტები
კვირტის,
არაგვი მტკვართან შემოხვდება
წვიმას ბობოქარს...
მოხუცი ფშატი მზეს დალოცავს
კიდიდან კიდით,
რომ ფეხშიშველი კვლავ იხილა
თეთრი გოგონა!

დალი მაზმიშვილი

## მინდია

სანამ ეს გული გულობს და
სანამ ქვეყანა დიდია;
სანამდე ცისფერ ცარგვალზე
მზე მზისფერთვალა ჰკიდია;
სანამდე ინაცვლებიან
ცისკარი გინა ბინდია,
სანამდე ლაღნი, არწივნი
მაღალ მთეებზე ფრინდიან,
სანამდე ფშაველ-ხევსურნი
ხატობაზედა მიდიან,
სანამ არ შემძულებიხარ,
სანამ მიყვარხარ მინდიავ,
მოდი და სადმე წამიყვა,
სანამ ქვეყანა დიდია-

ნინო არსენაშვილი

## ჩემი დედულეთი

დედულეთი... ჩემთვის ყოველთვის ძვირფასია და სანატრელი! აქ დავიბადე, პირველად აქ ავიდგი ფეხი და აქაურებისთვისაც მე ვყოფილვარ პირველი სიხარული. მე რომ დავბადებულვარ, იმ დღეს ძალიან დიდი თოვლი მოსულა. თურმე უხაროდა პაპას შვილიშვილის შეძენა, მაგრამ ერთი რამ გულს ტკენდა: ჩემი გოგო ნათლიღების დღეს დაიბადა და ნათელა უნდა დავარქვათო. არ დაუჯერეს ჩემმა მშობლებმა — შვილს ჩვენ ციურ მანანასავით ველოდითო და მანანა დამარქვეს. ასე იყო თუ ისე, ზოგი ნათელას

მეძახდა, ზოგთ მანანას, გაკურაპებული ბაბუა კი სულ სხვა სახელით — დოდოთი მიხმობდა.

დედულეთი... თავისი ქვალორღიანი გზებით, მოსახვევებით, განსხვავებული სოფლური სურნელით რომ ცოცხლდება ჩემს გულში, სოფლის სიჩუმეს ეზოებში ინდაურებისა და ქათმების კრიახი რომ არღვევს, აქა-იქ ეზოებიდან თონეში ჩაკრული ცხელი ლავაშების მადისაღმძვრელ სუნს რომ მაგრძნობინებს.

ჩავდივარ ჩემს ეზოში, — არავინ არის. ცერად მიყურებს ცალი ფეხით დაბმული ინდაური, თითქოს მეკითხება: „შეგიძლია ჩემი შველა?" წნელზე შემომჯდარი ჩვენი მამლისთვის დილა-საღამო არ არსებობს, როცა გაუხარდება, მაშინ ყივის. კრუხს ეზოს კუთხეში დადებულ თივის ბულულში მოუკალათნია და მედიდურად იყურება აქეთ-იქით. ჩემს ეზოში ყველაფერი ძველებურად არის. სარდაფის ორი ფანჯარა დღესაც ჩამტვრეულია. დაჩუტული გდია კიბის ქვეშ ჩვენი ბურთი. ალბათ განგებ არ უსვამენ მინებს ფანჯრებს, — ჩვენს ბავშვობას თუ აგონებს უფროსებს.

ჩემს სოფელში ყველას სხვადასხვანაირი ღობე აქვს: ზოგს ხისა, ზოგს ქვისა, ზოგს მავთულისა... ჩემს ეზოს ხის ღობე არტყია გარშემო. ეზოს შესასვლელთან დიდი კაკალი იდგა. თითქმის მთელ ეზოს ყოფნიდა ხოლმე ზაფხულობით მისი ჩრდილი. წლეულს აღარ დამხვედრია. მოვჭერითო — მიპასუხა დეიდამ შეკითხვაზე. როგორ გვიყვარდა ბავშვებს კაკლის ბერტყვა! ძირს დახვავებულ კაკლებს შევესეოდით და ვცდილობდით რაც შეიძლება მეტი გადაგვემალა ჩვენთვის: ქუდებში, ჯიბეებში, უბეში, მერე სანაძლეოში ვუცვლიდით ერთმანეთს სხვადასხვა ნივთებში. შუაღამემდე ისმოდა კაკლის ძირიდან ჩვენი ხმა. შუაღამემდე ზუზუნებდა ლახტის წრეში გაჭიმული ქამრები. მერე კი რამდენჯერ წვივებაჭრელებული და აწითლებული ჩუმად, ცრემლების ყლაპვით შევპარულვარ საძინებელ ოთახში...

მრავლად დატოტვილ ხის კუნძში ჩარჭობილი ცული თითქოს მეუბნება — შენები სულ ცოტა ხნის წინათ აქ იყვნენო. დიდიან-პატარიანად ყველა სამუშაოდ არიან წასულნი. გაზაფხულდა, ხეებმა კვირტი გამოიღო, ახალი სიცოცხლე ჩაისახა ბუნების წიაღში და იზრდება, დღითიდღე მაგრდება ფესვები, მწვანედ ბიბინებს ბალახი. ვაზს შეწამვლა, ყანას თოხი, ხეხილს გასხვლა უნდა. მშრომელი კაცის ბარაქას დღეს ეყრება საფუძველი. ყველა ცდილობს არ ჩამორჩეს მეზობელს, თავი არ შეირცხვინოს.

დეიდამ გაიხარა ჩემი დანახვით. ეგრე უნდა მოგვანატრო თავიო, ბებო და პაპა რომ აღარ არიან, აღარ უნდა გაგვიხსენოო? — შემომტირა. მერე შვილიშვილს წამოჰკრა ხელი — გაიქე, ბიჭო ან ვეროაანთ ან ჭუკაანთ პური გამაართვიო. დღეს სამუშაოდ ვიყავი და პურის გამოცხობა ვერ მოვასწარიო — მოიბოდიშა.

მალე ნოყიერი სუფრაც გაიშალა. როგორც პატარაობისას, ახლაც ჩემს თეფშზე ალაგებს დეიდა, თუ კი რამ ნუგბარი მოეპოვება. იცის, სულ რამდენიმე საათით ვარ ჩასული, ისიც იცის, რომ ეს საათები ახლო ხანში არ განმეორდება და ცდილობს როგორმე ყველაფრით გული მოიჯეროს. საუბარს ხომ ბოლო აღარ უჩანს. სუფრაც და მთელი ჯამ-ჭურჭელიც ისე გააწყო, როგორც ძველად დიდედას და პაპას დროს. ღვინოც ხელადით ჩამოდგა. ეს მშრომელი გლეხკაცის მარჯვენას გაუმარჯოსო — პირველი სადღეგრძელოც პაპასავით წარმოთქვა დეიდამ და ჭიქა ბოლომდე დაცალა. თვალებში მოწოლილმა ცრემლმა ხედვა დამიშალა, ჩემს წინ პირქვე ჩამხობილი დაცლილი ჭიქა ირწეოდა... დიდედას და პაპას სურათს ავხედე. მომეჩვენა, თითქოს ულვაშები აიგრიხა პაპამ, ჩიხტაკოპი შეისწორა დიდედამ.

შენი ჩამოსვლა ნიკაანთ ბიჭმა მაცნობაო — თუხთუხით შემოიჭრიოთა ეზოში თავის „მერანით" ჩემმა ტრაქტორისტმა ბიძაშვილმა. რამდენიც გაგიხარდება, იმდენ ხანს დარჩი, ორი დღე გვაცალე და მერე ჩვენი თავი შენ დაგენაცვლოსო — ზეზეულად დაილოცა და გზას გაჰყვა. მეზობლებს ვეხმარები ხეხილის შეწამვლაში და პირს ვერ შევირცხვენ, უნდა წავიდეო.

მოსაღამოვდა. აგრილდა. ფართო აივნიდან ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი მშობლიურ ადგილებს. ვერცხლისფრად ლაპლაპებდა ჩემი ლიახვის ზედაპირი — ლიახვი ხან გაავებული და ხან მდორედ მდინარი! გვიყვარდა ბავშვებს ჭყუმპალაობა, ჩვენი მდინარეც ის იყო, ზღვაც და ოკეანეც.

გზაზე ხალხი გამოჩნდა. მთელი დღის ნაშრომ-ნაჯაფი, ბედნიერი სახეებით მოაბიჯებდნენ ჩემი მეზობლები.

დეიდა, რაც შეეძლო, ჭუჭკნიდა ჩემს ჩანთაში ქადებს და ნაზუქებს: ყველა ჯიშის ვაშლიდან თითოს ჩავალაგებ, დეიდა გენაცვალოს, იქნებ ქალაქში ამან მაინც გაგახსენოს ჩვენი თავიო. თან ცალი თვალით მანქანის საბარგულში ჩაიხედა, ხომ ყველაფერი ისე დააწყეს, მე როგორც ვთქვიო. არაფერი მითქვამს, უხმოდ ვაკოცე ჭაღარა თმაზე.

სევდიანმა დავტოვე იქაურობა. გზაში ნელა მოვდიოდი. ვაკვირდებოდი შემხვედრ სახეებს. ზოგს ვცნობდი, ზოგიც თითონ მცნობდა და მეცნაურებოდა. გული გამითბო ჩემებურების გულღია და გულითადმა საუბარმა, მკერდში გაჩერებული ლოდიც გალღვა და დნობა დაიწყო. რაღაცნაირი სიამაყე დამეუფლა მოულოდნელად. მეც ხომ ამ სოფლის შვილი ვარ, ამ პირიანი და ერთგული ხალხისა, ძმისა და მოყვასის სიყვარული ოდითგან ძვალ-რბილში რომ გასჯდომიათ!

მაშ დაილოცოს შენი თბილი უბე, ჩემო ქართლო!

**მანანა მექვაბიშვილი**



საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიგა ლორთქიფანიძე

# თეატრი — იუბილარი

მარჯანიშვილის თეატრი მარჯანიშვილის სახელობისა ოფიციალურად 1933 წლიდან გახდა. ამ დრომდეც იგი მარჯანიშვილისა გახლდათ, რადგან მთელი თეატრის შემოქმედება, ძირეულიდან დაწყებული, უმცირესი ნიუანსებით დამთავრებული, მარჯანიშვილისეულ რეჟისორულ მრწამსსა და ესთეტიკაზე იყო დაყრდნობილი. მარჯანიშვილმა მრავალი სიახლე შეიტანა საერთოდ საბჭოთა თეატრში, მკვეთრად ეროვნული, ამასთან ზოგადსაკაცობრიო აზროვნების ხელოვნების ტრადიცია შექმნა და დაამკვიდრა თავის თეატრში. ცხადია, დღეს ჩვენი თეატრის შემოქმედება ყოველივე ამის გამგრძელებელია.

მარჯანიშვილის თეატრი ცდილობს არ უღალატოს თავისი დამაარსებლის ესთეტიკას, მისი დადგმების ტრადიციებს, რაც სპექტაკლების მაღალმხატვრულობით, ზეიმურობით, ოპტიმიზმით, არაჩვეულებრივი მსახიობური ანსამბლით, თანამოაზრეობით, ერ-

თიანი მხატვრული პოზიციით, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი სახით და კიდევ, — სპექტაკლის გამიზნულობით გამოიხატება.

დღეს ჩვენ გვაქვს საამისო პირობები — გვყავს მაღალპროფესიული დასი.

ცნობილია, რომ ჩვენმა თეატრმა, თაობათა ცვლის პროცესი გაიარა. ამჟამად თეატრს დაუბრუნდა მისი ღვიძლი აქტიორული ძალები. ამ გაერთიანების საფუძველზე დღეს დიდი შესაძლებლობის მქონე, მონოლითური, ძლიერი, ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი გვყავს.

მარჯანიშვილისეული ჩინებული ტრადიციაა ის, რომ თეატრი დღესაც ქართული მხატვრული სიტყვის ერთგულია. ჩვენ დღესაც ვაგრძელებთ ქართულ მწერლობასთან მარჯანიშვილისმიერ დაწყებულ დიდებულ ურთიერთობას. თუ მარჯანიშვილს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის გამოჩენილ ქართველ მწერლებთან— პ. კაკაბაძესთან, შ. დადიანთან, კ. კალაძესთან, დია ჩიანელთან, დ. შენგელაიასთან, ა. ქუთათელთან და სხვებთან, დღეს ჩვენც ვაგრძელებთ ამ ურთიერთობას. ამის დადასტურებაა ჩვენს სცენაზე პ. კაკაბაძის, შ. დადიანის, ლ. გოთუას, გ. შატბერაშვილის, მ. ბარათაშვილის, ნ. დუმბაძის, ალ. ჩხაიძის, კ. ბუაჩიძის, გ. ხუხაშვილის ნაწარმოებთა სიცოცხლე. ზოგი მათგანის დრამატურგად კურთხევა მარჯანიშვილის თეატრის მეშვეობით მოხდა.

მართალია, დღევანდელი ქართული დრამატურგია სრულყოფილად ვერ გამოხატავს ჩვენს ცხოვრებას, ამ მხრივ თეატრიც ჩამორჩება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი გერად გამოვაცხადოთ. ქართული თანამედროვე თემატიკის გარეშე ჩვენს თეატრს ვერ წარმოუდგენია დღევანდელი დღე. ქართულ მასალაზე შექმნილი სპექტაკლების მიმართ მაყურებლის გაზრდილი ინტერესიც ამის დამადასტურებელია. ამ ინტერესს მოწმობს ჩვენი გასული სეზონის რეპერტუარში ქართული პიესების სიმრავლე. 1978-1979 წლების სეზონში მაყურებელი ჩვენს თეატრში ნახავს დადგმებს, განხორციელებულს ჩვენი ქართველი დრამატურგების ნაწარმოებების მიხედვით. ესენი გახლავთ: პ. კაკაბაძის „ბაგრატ VII“, ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა“, თ. ჭილაძის „ბუდე მეცხრე სართულზე“ ა. შალუტაშვილის „კატასტროფა“.

პერსპექტიულ რეპერტუარში შეტანილია მ. ბარათაშვილის „ცეკვა-სიმღერის მასწავლებელი“ და ი. ვაკელის „შამილი“.

ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ საბედნიეროდ რაიმე სხვა საინტერესო ქართული პიესა გამოჩნდება, სათანადო ადგილს დაიჭერს ჩვენს რეპერტუარში. იგი გეგმის გარეშე ავა ჩვენს სამუშაო მოედანზე. დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ქართველი მწერლების პროზაულ ნაწარმოებებს და კვლავ სიხარულით მივმართავთ მათს ინსცენირებას„ თუკი ნაწარმოებები ამის ღირსი იქნება.

მწერლის ნაწარმოების ერთგულება, მის მიმართ დიდი გულისხმიერება, მარჯანიშვილისეულ დადგმათა ტრადიციების გაგრძელებაა. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლების' სტილისტიკას დრამატურგია განსაზღვრავდა იმთავითვე მოყოლებული, დღესაც ასეა. რეპერტუარში კვლავ გრძელდება ჟანრული მრავალფეროვნება. დღესაც ჩვენი თეატრი ცდილობს ლიტერატურული ნაწარმოების შესაფერისი გასაღები მოძებნოს და თავს არაფერი მოახვიოს მას.

ჩვენთვის სპექტაკლის მიზანდასახულობა, მებრძოლი სული, რომლის ნათელი მაგალითია რევოლუციური მგზნებარებით აღსავსე მარჯანიშვილისეული „ცხვრის წყარო“, ანდერძად გვაქვს მიღებული მარჯანიშვილისაგან. ჩვენც ვცდილობთ თითოეულ სპექტაკლს ასეთი მკვეთრი აზრი ჰქონდეს, გამოხატავდეს თავისი დროის შესაფერის სულისკვეთებას.

მარჯანიშვილისეული ტრადიციაა ჩვენი თეატრის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება — არავინ უარყოფს რეჟისორულ გამომგონებლობას, მაგრამ სპექტაკლის მთავარი ფიგურა მაინც მსახიობია, მისი მართალი სიტყვაა, მისი წრფელი თამაშია.

1978 წელს მოწყობილი მოსკოვის „მცირე“ და ქუთაის-ბათუმის ვრცელი გასტროლები ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი საიუბილეო ზეიმის გარკვეული დასაწყისია. მოსკოვში მოწყობილმა „მცირე“ გასტროლებმა ჩამოაყალიბა თეატრალური მოსკოვის აზრი ჩვენი დღევანდელი თეატრის სახეზე. იგი განისაზღვრა როგორც „დიდი, ნამდვილი, ჩამოყალიბებული, ტრადიციებით მდიდარი, სიახლეებით აღსავსე თეატრი“ (პროფ. ა. ნ. ანასტასიევი). „თეატრის გასტროლები მოსკოვში უდავო წარმატებით ჩატარდა, მის მიმართ მაყურებლებმა და კრიტიკოსებმა უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს. უპირველესად ეს იმის შედეგია, რომ თეატრის რეჟისურამ და დასმა სამივე სპექტაკლით — „მეფე ოიდიპოსით“, „ბერიკონით“, „მარტოობის დღესასწაულით“ — ხელოვნების ამოცანების მიმართ ზედმიწევნით სერიოზული მიდგომა გამოავლინა“ (ი. ს. რიბაკოვი. თეატრმცოდნე). მე სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მიერ განხილვაზე გამოთქმულ აზრს გაცნობთ, რადგან ის, რაც ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა, საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია. ამ განხილვაზე ხაზგასმული იყო: „ამ სამი სპექტაკლით თეატრმა დაამტკიცა, რომ საერთო თეატრალურ პროცესში მას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს“ (ი. ს. რიბაკოვი). ამ განხილვაზეც და პრესაში გამოქვეყნებულ წერილებშიც ბევრი საგულისხმო რამ ითქვა. შენიშვნებთან ერთად, გამოიხატა საერთო აზრი, „რომ თეატრი დიდი შემოქმედებითი სითამამით ელაპარაკება მაყურებელს სცენიდან. არ ემორჩილება მკვეთრ, ნიჭიერ, მაგრამ მაინც გასართობი ხელოვნების მბრძანებლობას“ (ე. ხეიფეცი, მცირე თეატრის რეჟისორი). ჩვენი სპექტაკლები „დიდი თეატრალური ქვეყნის დედაქალაქის თეატრალური ცხოვრების დიდ მოვლენად“ ჩათვალეს (ე. ხეიფეცი). „ახლა კარგად მივხვდი, რა გამოგვეცალა ხელიდან თეატრში! ეს გახლავთ პოეტური და ინტილიგენტური საუბრის დონე, ის, რაც თქვენმა თეატრმა მოგვცა“ — თქვა თეატრმცოდნე მ. ტ. ლვოვსკიმ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ეს შეფასებები ზუსტად განსაზღვრავს, რა სახით გამოიხატება მარჯანიშვილის ტრადიციების გაგრძელება, რა ხარისხით გამოიხატება ამ ტრადიციების გაგრძელება დღევანდელი თეატრის შემოქმედებითს სუნთქვაში.

მოსკოველ მაყურებელთა წინაშე წარმატებით გამოსვლის შემდეგ, მარჯანიშვილელებს თითქმის ორთვიანი გასტროლები ჰქონდათ იმ ქალაქებში, სადაც 50 წლის წინათ დღევანდელმა თეატრმა დაიწყო არსებობა.

ქუთაისელ მაყურებელთა სიხარული უსაზღვრო იყო, როცა მათ თავის ქალაქში კვლავ იხილეს თავისი პირმშო. 28-დღიანი შეხვედრა — ეს შემოქმედებითი ანგარიში იყო და თეატრმა იგი წარმატებით ჩააბარა.

ქუთაისის შემდეგ მარჯანიშვილელები ბათუმის მოსიყვარულე საზოგადოებას წარუდგნენ. აქაც გაგრძელდა საზეიმო შემოქმედებითი განწყობილება. ყოველი სპექტაკლი მსახიობის და მაყურებლის დღესასწაულად იქცა. მადლიერი მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა სცენიდან საყვარელ მსახიობებს. ორივე ქალაქში მაყურებელთა თხოვნით დაუმატეს სპექტაკლები. თეატრი მოთხოვნით ჩავიდა ქუთაისისა და ბათუმის ახლო მდებარე სარაიონო ცენტრებში, სამი სპექტაკლი უჩვენა ფოთის მაყურებელს. ყველგან სითბო და სიყვარული ხვდებოდა თეატრს, ყველგან მოწიწებით უხრიდნენ თავს 50 წლის იუბილარს. ქუთაისის და ბათუმის პრესამ გააშუქა თეატრის შემოქმედება. გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“ თავის ფურცლებზე დიდი ადგილი დაუთმო თეატრის საგასტროლო ცხოვრებას.

და, ამგვარად, ზეიმის ესტაფეტამ თბილისში გადმოინაცვლა. მთელი 1978-1979 წლების სეზონის სპექტაკლები უპირველესად ამ დიდ თარიღს ეძღვნება. ყველა სამუშაო თეატრში საიუბილეო ნიშნით ჩატარდება. საზეიმო-საიუბილეო საღამო კი 18 დეკემბერს შედგება საგანგებოდ ამ თარიღისათვის კაპიტალურად შეკეთებულ, ახლადდამშვენებულ თეატრის შენობაში.

გიგა ლორთქიფანიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორჯონიკიძის საშუალო სკოლა 90 წლისაა

1888 წლის ნოემბერში პირველად დაირეკა ქალაქ ვლადიკავკავის ქართული სკოლის ზარი, რომელმაც სწავლამოწყურებულ ბალღებს მშობლიურ ენაზე — რუსთაველისა და ბარათაშვილის, გურამიშვილისა და ორბელიანის, ილიას, აკაკის, ვაჟას ენაზე სწავლის დაწყება ამცნო.

გადიოდა წლები... სკოლა დღითიდღე იხვეჭდა სახელს, მოსწავლეთა რიცხვი განსაცვიფრებელი სისწრაფით იზრდებოდა. ერთსართულიანი პატარა შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა გაზრდილ მოთხოვნილებას. აუცილებელი გახდა ახალი შენობის აგება. და აი, ეს შესანიშნავი საქმე ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ლუარსაბ ბოცვაძემ ითავა.

მისი დაუღალავი გარჯითა და ქართველთა შემოწირულებით მალე მშვენიერი ორსართულიანი შენობა წამოიჭიმა, რომელშიც, სასწავლო კლასების გარდა, მოთავსებული იყო ქართული ეკლესია, ჭრა-კერვის სკოლა, ქართული ბანკი და კლუბი. კლუბის სცენაზე ხალხმრავალი საღამო-წარმოდგენები იმართებოდა. ლუარსაბ ბოცვაძემ აქ 14 წელი იმოღვაწა და უკვდავი სახელი დატოვა. ტყუილად კი არ ამბობდნენ, ვლადიკავკავის ქართული სკოლა ლუარსაბ ბოცვაძის ფილტვებით სუნთქავსო.

... ამ სკოლაში მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა მღვდელი გიორგი ნათაძე, რომელსაც ვლადიკავკაველი ქართველები „მამა-გიორგით" მიმართავდნენ. ხშირად წირვის დამთავრებისას „მამა გიორგი" მრევლს მიმართავდა: — „შვილებო, არ დაგვივიწყდეთ, დღეს, 5 საათზე საფიცკის ბუტკის ტყეში არალეგალური ბოლშევიკური კრებაა დანიშნული".

სკოლის შენობაში მარტო რევოლუციონერი მასწავლებელი გიორგი ნათაძე როდი ცხოვრობდა, აქვე მოთავსებული იყო გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის, შემდგომში თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნოე ბუაჩიძის მიერ დაარსებული არალეგალური ბოლშევიკური სტამბა.

1906 წელს, როდესაც მეფის ჟანდარმერიამ სტამბის აღმოჩენა შესძლო და სასტიკად დაარბია იგი, მისი აქტიური მონაწილეები ელენე ყაზახიშვილი და მისი ქმარი იოსებ ბაბლიძე ციმბირში გადაასახლეს, სხვებმა კი გაქცევით უშველეს თავს.

სკოლის ცხოვრებით დაინტერესებული ყოფილა რევოლუციის ტრიბუნი სერგეი მირონის ძე კიროვი, რომელიც დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ქართველ პედაგოგებს და მათ წერილებს ხშირად თავის გაზეთ „თერგში" აქვეყნებდა.

ვლადიკავკავის ქართული სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და ეხმარებოდნენ საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადახვეწილი ქართველი რევოლუციონერები: ფილიპე მახარაძე, სერგო ქავთარაძე, ნოე ბუაჩიძე, მამია ორახელაშვილი და სხვები.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ქართული სკოლის ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა. გაიზარდა მოსწავლეთა რიცხვი. სკოლა დამშვენდა სააქტო და ფიზკულტურის დარბაზებით, მოეწყო სასწავლო კაბინეტები, შეივსო ახალი ავეჯით...

ამ სკოლას თავის დროზე, გარკვეული ღვაწლი დასდეს პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა უშანგი ობოლაძემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა დიმიტრი ყიფიანმა, გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ლევან გოთუამ, ჩრდილო ოსეთის ასსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა ოლია ბაკურაძემ, თამარ ებრალიძემ, გერონტი მეტრეველმა, ეკატერინე ჩაგელიშვილმა, სოფიო ელიაშვილმა, გოცა ხომერიკმა და სხვებმა. სკოლა ამაყობს თავისი აღზრდილებით, რომელთა შორის არიან პროფესორი ვანო შადური, დოცენტი პავლე ღუდუშაური, პოეტები ალექსანდრე გომიაშვილი, აკაკი გეწაძე და სხვები.

ორჯონიკიძის მე-19 ქართული საშუალო სკოლის როლსა და მნიშვნელობაზე, სკოლის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოგზავნილ წერილში, კარგად თქვა, გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ლევან გოთუამ:

„კავკასიონის პირიქითა მხარეში ამჟამად არ არსებობს უფრო დიდი და მნიშვნელოვანი კერა ქართული კულტურისა, ვიდრე თქვენი სკოლაა. მასწავლებელთა და მოსწავლეთა მთელი თაობა მოღვაწეობდა და აღიზარდა ამ შესანიშნავი სკოლის წიაღში. იმედი გვაქვს, რომ ამ სახელოვანი სკოლის ახლანდელი მესვეურმასწავლებლები და მშობელ-მოწაფეები შემდგომშიაც განაგრძობენ ქართულ სწავლა-განათლებას და თავიანთ წვლილს შეიტანენ საერთო საქმეში. ვაშა თქვენს კეთილშობილურ საქმეს!"

ორჯონიკიძის ქართულ სკოლას ა. წ. ნოემბერში 90 წელი შეუსრულდა. სკოლის პედკოლექტივი და მოსწავლე ახალგაზრდობა მაღალი აკადემიური მაჩვენებლებითა და შეგნებული დისციპლინით შეხვდა ამ ღირსმნიშვნელოვან თარიღს.

**შალვა რეხვიაშვილი,**
ქ. ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი თანამედროვე

ადრე იღვიძებს თბილისი. დილის შუქი ოდნავ ჰკიატებს. ნაადრევად გამოსული ტროლეიბუსი სრიალით ჩაივლის ქუჩებს და მთვლემარე მყუდროებას არღვევს. შემოდგომის ნისლი დგას და ცადაზიდულ მრავალსართულიან შენობებს ოცნებასავით გაუშლიათ ფრთები.

ქალაქის განაპირას მსუბუქი მანქანა ჩერდება. მანქანიდან ქალი სწრაფი ნაბიჯით გადმოდის, დიდ სხივმფრქვევ თვალებს და მაღლაზიდულ წარბებს მშენებლობას მიაპყრობს. აქ ადრიანად შეუდგომიან საქმეს. თავაწეული ამწე კოშკურა ფართო რელსებზე ღრჭიალით დააბოტებს. ქალი მშენებლებს ესაუბრება, წინწასულ საქმეს გულდაგულ ათვალიერებს და შემდეგ სხვა მშენებლობაზე გადაინაცვლებს.

საქართველოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თინა ქუთათელაძე კაბინეტში შევიდა. მას არქიტექტორები, მშენებლები შეჰყვნენ. მაგიდაზე ქაღალდის გრაგნილები გაშალეს. თინა მაგიდას მიუახლოვდა, ერთხანს თავდახრილი იდგა, ნახაზებს გულდაგულ ჩასცქეროდა, ჩუმად, დაფიქრებით ამოწმებდა. ცოტა დახანების შემდეგ ფანქარი აიღო და ქაღალდზე რაღაც ჩაინიშნა.

თათბირი იწყებოდა. მშენებლობის კომიტეტი ხომ რესპუბლიკაში ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარების, განაშენიანების საკითხებს განიხილავს და ახორციელებს, მშენებლობის, არქიტექტურის, წყალსადენებისა და კანალიზაციის მოწესრიგების საქმეს ხელმძღვანელობს.

თინამ პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებლის პროფილით დაასრულა. იგი ერთდროულად სწავლობდა კიდეც და საპროექტო ინსტიტუტში დამპროექტებლადაც მუშაობდა. გოგონა იმთავად პირველ გაბედულ ნაბიჯებს დგამდა და ცხოვრების ბილიკს შემართებით მიჰყვებოდა.

თინა ქუთათელაძე ერთი პირველთაგანი ინჟინერ-მშენებელი ქალი იყო დღედაღამ ფიქრით, გარჯით, ენერგიით, კონტურებით რომ ხატავდა თბილისის მომავალს. იდგა მშენებლებთან ტრიალ მინდორზე, მტვერსა და სილაში, ქარსა, ავდარსა თუ ჩახჩახა მზეში სამშენებლო მასალების გროვაში და დიდი შემართებით იღვწოდა.

დედაქალაქი მჩქეფარე ცხოვრების მაჯისცემით, მარადიული სიჭაბუკით სავსე იზრდებოდა და შენდებოდა. კირითხუროთა ნაჯაფი ხელით აგურს აგური ემატებოდა... იბადებოდა ახალი აზრები და მოძრაობდა, გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაზე, უბნიდან უბანზე, სანაპიროდან სანაპიროზე.

1935 წელი იდგა. მშენებლობა ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამდა. იმხანად ქალაქის სამკაული ძველი თბილისის ქუჩაბანდები, ძველებური აივნიანი და ბანიანი სახლები, ბებერი ციხის-ნარიყალას ნანგრევები იყო. ყველაფერს ჰქონდა რომანტიკული წარსულის სურნელი ასდიოდა. ალმასვლის საუკუნეში კი ახალი ისახებოდა, იბადებოდა. იწყებოდა მცირედით და მიზნები სულ მაღლა მიემართებოდა. ვაკის უბანს აბანო არ ჰქონდა. და დაიწყო მშენებლობა. მშენებლობას თინა თავკაცობდა. ახლანდელ „ვერის აბანოს" დიდხანს „თინას აბანოს" ეძახდნენ მადლიერი თბილისელები.

თინამ სკოლის მშენებლობაზე გადაინაცვლა. სპეციალისტები შეკრიბა და ხშირად შუაღამემდე ბჭობდნენ, მსჯელობდნენ, კამათობდნენ. იგი გუმანით მიხვდა, რომ დიდი საშუალება იქნებოდა მსუბუქი ბეტონის გამოყენება. ამ სიახლით სასკოლო შენობა ოთხ თვეში ააგეს. სასწავლებლის ახალ კედლებში ენით აუწერელი სიხარული იდგა. მშენებლებს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს ორმაგი ზეიმი ჰქონდათ. სკოლის მიღებისას ლენტი თინამ გაჭრა. ხანგრძლივად რეკდა სასწავლებლის ზარი და განა მხოლოდ სწავლის დაწყების მაუწყებელი, — ახალი სასკოლო შენობის, ახალი სიცოცხლის მახარობელი!

ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში მსუბუქი ბეტონის სამშენებლო მასალამ ხარისხი აამაღლა და მარტო მშენებლობისა კი არა, დროის ვადებიც შეამცირა, გააიაფა ღირებულებაც. თინას წინადადებით სამრეწველო ობიექტების მშენებლობაზე რკინა-ბეტონის ანაკრებადი გამოიყენეს.

თინა ქუთათელაძე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოიძახეს, რას იტყვით ერთ-ერთი დიდი სამრეწველო უბნის მშენებლობის უფროსად რომ დაგნიშნოთო. თინას სახე აეფაკლა. მოულოდნელი იყო ეს მისთვის და პასუხის გაცემა ერთბაშად გაუძნელდა. წუთით შეჩერდა და შემდეგ შევძლებ, აუცილებლად შევძლებო, — მტკიცედ წარმოთქვა მან.

1940 წელს დიდი სამრეწველო ობიექტის მშენებლობა დაიწყო. ეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ერთ-ერთი უდიდესი უბანი იყო. მოედანი გაამზადეს, სამშენებლო მასალას, ტექნიკას თავი მოუყარეს და შენებას შეუდგნენ. გარდამავალი წითელი დროშა ამ უბანს მუდამ ხელთ ეპყრა, შეჯიბრებაში გამარჯვებულთ აჯილდოებდნენ.

დიდი სამამულო ომი დაიწყო. იქ, დასავლეთში საარტილერიო ნალმები სკდებოდა, ქალაქები, სოფლები იბომბებოდა, მიწა იწვოდა. ქარხნები უკან, ღრმა ზურგში გადმოჰქონდათ.

თინას სამშენებლო უბნის მშენებლები სამხედრო კომისარიატში გამოცხადდნენ. სამშობლოს განსაცდელის ჟამს ფრონტზე წასვლას ითხოვდნენ.

მშენებლები ქვეყნის დამცველთა რიგებში ჩადგნენ და მათი საქმე ცოლებმა, დედებმა, დებმა და ქალიშვილებმა განაგრძეს. ახალი განკარგულება მოვიდა. მშენებლობა დროებით შეწყვიტეთ, ტაგანროგის ევაკუირებული საავიაციო ქარხანა უნდა დამონტაჟდესო. მშენებლებმა წარბი არ შეხარეს. დღედაღამე გაასწორეს, შიოდათ, ციოდათ და სიძნელეებს მაინც არ შეუშინდნენ, საქმეს შეეჭიდნენ, ძმას ძმობდნენ, ქვეყანას მხარში edgნენ. უზარმაზარი ქარხანა ერთ თვეში ჩინებულად გამართეს, ღაამონტაჟეს. შემდეგ ისევ მშენებლობა დაიწყეს. აქაც ფრონტი იყო, შრომის ნამდვილი ფრონტი და თინა გახლდათ ერთ-ერთი დიდი უბნის ავანჩავანი, გეზის მიმცემი, სირთულეებთან შეჭიდებული.

მშენებლობა დასრულდა და რესპუბლიკურმა გაზეთებმა ბრძანებულება გამოაქვეყნეს. მშენებელთა დიდ ჯგუფს მთავრობის ჯილდოები ხვდა წილად და თინა ქუთათელაძეც შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს.

თინა იგონებს დაუვიწყარ დროს, როცა თვითონაც, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, ცხოვრების ნამდვილი სკოლა გაიარა. ეს საბჭოთა ქალის, ჩვენი თანამედროვეს სულიერი შემართება, შრომითი თავდადება იყო, როცა ცხოვრების ყოველი დღე, ალსავსეა ახალი მიზნებით — რა შევმატო, რით ვასახელო მე ჩემი ქვეყანაო.

თინა ქუთათელაძის შრომითი მოღვაწეობის გზა ასე დაიწყო. ჯერ იყო სამუშაოს მწარმოებელი, შემდეგ სამშენებლო სამმართველოს უფროსი, საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსი, სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი და მმართველის მოადგილე, სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე მშენებლობის დარგში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მშენებლობისა და ქალაქის მეურნეობის განყოფილების გამგე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ — პირველი მოადგილე; იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი, ოცი წელი — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. იგი რიგითი მშენებლიდან რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინრამდე ამაღლდა. მშენებლობათა მიმღები სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეა. საპროექტო ინსტიტუტის მიერ შედგენილ პროექტებსა თუ სამშენებლო ობიექტის მიღება-ჩაბარებაში აქტიურად მონაწილეობს. სასტუმრო „ივერია" და „აჭარა", გრიბოედოვის სახელობის თეატრი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" კომპლექსი, საბურთალოს 1200-საწოლიანი საავადმყოფო, ჰიდრავლიკის სასახლე, სკოლები, ბაგა-ბაღები, საცხოვრებელი სახლები და რომელი ერთი დავასახელოთ! თინა ქუთათელაძის სამშენებლო ობიექტებმა ოთხ ათეულს გადააჭარბა და ამ დიდი ღვაწლისათვის იგი სხვადასხვა დროს შრომის წითელი დროშის სამი ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, მრავალი მედლით, საპატიო სიგელით დააჯილდოეს.

მოწმენდილ ცაზე ბდღვრიალებს შუადღის თაკარა მზე, მისი ჩახჩახა სხივები სართულებს შორის გაბნეულა. დადის ქალი ამ სართულებს შორის და სხივები მხრებზე ბლუჯა-ბლუჯად ეცემა. მისი თვალსაწიერი მუდამ სიმაღლეებს სწვდება და თბილისის მომავლის კონტურებს მკაფიოდ ხედავს. ეს კონტურები თანდათან იზრდება, ფართოვდება, რომ უფრო მჩქეფარე, უფრო ლამაზი გახდეს ჩვენი დედაქალაქი.

ამ შემართებით იყვნენ რესპუბლიკის მშენებელი ქალები რუსთავის ქიმიურ ქარხანასა თუ ენგურჰესის მშენებლობაზე, მრავალსართულიანი სახლების თაღებზე თუ ახალი სკოლების შენებისას.

თინა ასახელებს მაღალი მარკის ბეტონის ოსტატს თამარ მაღრაძეს, ერთ პირველთაგან მშენებელ ქალს, სოციალისტური შრომის გმირს ნადია ომერიძეს, მშენებლებს ნინა ბალანჩივაძეს, ქსენია ურუშაძეს, ნინა მუსიევას, არქიტექტორებს ქეთევან სოკოლოვას, ლელი ხაჯიბეილს, ნელი ციციშვილს, თინა ურუშაძეს, მათიკო კაკაბაძეს, რომლებთანაც დღესაც მჭიდრო ურთიერთობაშია, და სიამოვნებით იგონებს მათთან ერთად ხანგრძლივად გაწეულ ცხოვრების ჭაპანს.

— ყოველთვის, ყოველი ახლის შენებისას მე მსურდა ერთ პირველთაგანს მიმეღწია რაღაც სიახლისათვის, რომ წინ წასულიყო ჩვენი მშენებლობის ტექნიკა, ჩვენი მოწინავე ტექნოლოგია, — ამბობს იგი.

„ტიფლისსკი რაბოჩის" 1936 წლის 8 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ მოკლე ინფორმაციაში ვკითხულობთ: „ოთხი წლის წინათ თინა ქუთათელაძემ პირველი, დამოუკიდებელი სამუშაო შეასრულა. მისი ხელმძღვანელობით აშენდა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მშენებლობა დროულად დასრულდა. ახალგაზრდა ინჟინერ-მშენებელმა გაამართლა ნდობა. ამჟამად იგი ახალი სკოლის მშენებლობაზე მუშაობს".

და მას შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა. მოღვაწეობის მართლაცდა დიდი გზა განვლო თინა ქუთათელაძემ. მისი ხელმძღვანელობით რამდენი მნიშვნელოვანი ობიექტი შეემატა თბილის-ქალაქს.

თინას ბინაში ვარ. კედელზე მისი პორტრეტი ჰკიდია. დიდი მეოცნებე თვალები სივრცეს გაჰყურებს. ეს მისი მზერაა, ფიქრიანი, ალღოიანი და მიზანსწრაფული.

საგულდაგულოდ შენახულ წერილს ვფურცლავ. ერთი მათგანი კიევიდან კარგა ხნის წინათ მიუღია თინას. უკრაინელ გოგონას გაზეთებში „ზარია ვოსტოკასა" და „ვეჩერნი ტბილისში" გამოქვეყნებული წერილები წაუკითხავს თინას საქმიანობის შესახებ. „გაზეთები წავიკითხე და სურვილი აღმეძრა — მეც ვიყო თქვენისთანა სახელოვანი, მინდა მოგბაძოთ, გავხდე მშენებელი ინჟინერი და ვაშენო ჩემი ქალაქი. გთხოვთ გზა დამილოცოთ".

თინამ არ დააყოვნა და წერილი მისწერა გალიას, გზა დაულოცა უმცროს მეგობარს, რომელმაც ცხოვრების რთული, მაგრამ ლამაზი და საინტერესო მიზანი დაისახა.

რაოდენი გულის სითბოა ჩაქსოვილი წერილებში, სტრიქონებში, რომელიც თინას პირად არქივში ინახება. „თქვენ ჩუმი, წყნარი და დინჯი მუშაკი ხართ. და ყოველივე ეს ამკობს თქვენს ადამიანურ ღირსებას"; „თქვენმა ჩემდამი გულისხმიერებამ ფრთები შემასხა, აღმაფრთოვანა. თქვენი სახით მე უმწიკვლო და უანგარო პარტიული, საბჭოთა მუშაკი, ნამდვილი ლენინელი დავინახე"; „ჩემი სიცოცხლის მანძილზე მე თქვენს სახელს ყოველთვის სათნოებით, ნამდვილ ჩვენს თანამედროვედ მოვიხსენიებ".

და დაუსრულებლად წერენ თინას მოქალაქეები, ჩვენი დროის უბრალო ადამიანები. მასწავლებელი თამარ მაკაროვა; ვ. გოლაძე; არქიტექტორი დავით ცაბაძე, მოსწავლე ნელი გელაშვილი ლექსებს უძღვნიან.

შუაღამეა. სძინავს ქალაქს. ქუჩაში დაგვიანებული მგზავრები თუ ჩაივლიან კანტიკუნტად. ფანჯრიდან სინათლე გამოკრთის. ოთახის სიღრმეში მაგიდა ნახაზებით არის დაფარული. ყმაწვილი თავდახრილი ზის და ხელში ფანქარს ატრიალებს. ეს თეიმურაზია. მეტყევე-ინჟინრის ალექსანდრე მენაბდის და თინა ქუთათელაძის ვაჟიშვილი. თეიმურაზი ქალაქმაგეგმარებელი არქიტექტორია. მან მეცნიერების დიდი გზა აირჩია — დღედაღამ ნახაზებს ჩაჰკირკიტებს, წერს, ასწორებს, მოსკოვში წარსადგენად შრომას ამზადებს; ასპირანტურას დედაქალაქში ასრულებს და მალე საკანდიდატო დისერტაციასაც იქ დაიცავს.

დედის მზერა მაგიდას ეცემა, რომელზეც თეიმურაზის ნახაზებია. ამ მზერაში დედის გულია, ყამირი რომ გაუტეხა და მეცნიერების დიდ სარბიელზე ფართო გზა დაულოცა საყვარელ ვაჟიშვილს.

...იგი ყოველ ცისმარე ჩუმად დააბიჯებს თბილისის ქუჩებში, ჩაუვლის ვარაზის ხევს, მიჰყვება ვაკე-საბურთალოს მაგისტრალს, მტკვრის ორივე სანაპიროს, შუქიანი თვალებით, ნებისყოფიანი სახით შესცქერის მრავალსართულებს, თეთრ შენობათა ქათქათა გრძელ რიგებს; თავაწეული კოშკურა ამწე ფართო რელსებზე ლაღად სრიალებს და ცასთან ახლოს ფუსფუსებენ ადამიანთა სილუეტები. სართულებს შორის დადის ჩვენი თანამედროვე, მზის ჩახჩახა სხივები მხრებზე ბლუჯა-ბლუჯად აცვივა და თვალსაწიერით თბილისის მომავლის ახალ კონტურებს ხატავს.

**ეთერ ჯაფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკის ოლიმპზე

მაშ ასე, ბიჭვინთაში იწყებოდა დიდი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილსა და პრეტენდენტ მაია ჩიბურდანიძეს შორის...

ამ შეხვედრამ, პირდაპირ რომ ვთქვათ, დიდი თავსატეხი გაგვიჩინა. მართლაც და, რაც მთავარი იყო ვის უნდა მოეგო — ანდა, სჯობს ვთქვათ, — წაეგო ეს მატჩი? განა შეეძლო წაეგო იგი ნონა გაფრინდაშვილს, უძლეველ მოჭადრაკეს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს?! მაგრამ მეორე მხრივ განა შეიძლებოდა ფანტასტიკური წარმატებების მქონე მაია ჩიბურდანიძის დამარცხება, იმ მაია ჩიბურდანიძისა, რომელმაც ჭადრაკში ყველა რეკორდს გადააჭარბა და მთელი მსოფლიო — აალაპარაკა?! რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო საყაიმო შედეგიც (8:8), რომლის საშუალებითაც ორივე მეტოქე უძლეველის რეპუტაციას შეინარჩუნებდა, მაგრამ ეს ხომ წმინდა ფორმალური ყაიმი იქნებოდა და ჭადრაკის სამყარო თავის ჩემპიონს კიდევ სამი წლით „გადაირჩევდა"!.

37 წელი და 17 წელი! რომელი ასაკი სჯობს, რომელი უფრო შესაფერისია მსოფლიოს ჩემპიონობისათვის ბრძოლაში? ნონა გაფრინდაშვილი ბიჭვინთამდე ხუთი დიდი მატჩის გამოცდილებით მოვიდა, სხვა შეჯიბრებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამ მომენტისათვის მაიას მხოლოდ პრეტენდენტთა შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მისი მდგომარეობა უკეთესი იყო. იგი გაცილებით ნაკლებს ჰკარგავდა, ვიდრე ჩვენი დიდი ჩემპიონი, ვთქვათ და წაეგო ეს შეხვედრა! განა გამოჩნდებოდა კაცი, რომელიც თუნდაც ერთი სიტყვით გაჰკილავდა მას? მხოლოდ ამას იტყოდნენ: „17 წლის ასაკში შეუძლებელია მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება. აი, 20 წლისა რომ გახდება..."

ნონა გაფრინდაშვილი გაგრაში, სანატორიუმ „თბილისში" ცხოვრობდა ისევე, როგორც ადრინდელი მატჩებისას, მისი სახლკარი ყველასათვის ღია იყო, ნონას ნახვა ყველას შეეძლო. იგი ბევრს სეირნობდა, თამაშობდა ჩოგბურთს, ბილიარდს, ძველებურად ძლიერ აინტერესებდა ჩვენი თუ საზღვარგარეთული სპორტული ცხოვრება.

მაია ბიჭვინთის სიახლოვეს ფრიად მომხიბლავ ადგილას, სანატორიუმ „კოდორში" დაბინავდა. ჩვეულებრივ მეტად ცოცხალმა და მოძრავმა ქალიშვილმა სავსებით შეგნებულად (და როგორც გამოირკვა, სავსებით სამართლიანად!) ამჯერად სრული კარჩაკეტილობა ამჯობინა. მთელი დღეების მანძილზე (მაშინაც კი, როდესაც თამაში არ იყო), პრეტენდენტი მეტისმეტად კონცენტრირებული იყო. არც ზღვა, არც რაიმე გართობა, არც ტელევიზორი — მაიამ ყველაფერი ერთ მიზანს დაუქვემდებარა. იგი 56 დღის მანძილზე არც ერთ ჟურნალისტს არ უნახავს. საკმაოდ საინტერესო ამბავია, ჭადრაკის პარტიისათვის განკუთვნილ 2,5 საათს მაია თითქმის არ ხარჯავდა, იმიტომ რომ... მას მთელ თავის დროს უძლვნიდა. რა თქმა უნდა, მაიას ეს ყოფითი „ასკეტურობა" მხოლოდ და მხოლოდ მისაბაძი იყო. იგი უაღრესად სერიოზულ განწყობილებას გამოხატავდა.

ბევრი ვინმე ამხნევებდა ჩემპიონსა და პრეტენდენტს. ნონას დედა და ძმები ყველა მატჩს ესწრებოდნენ, მეუღლე კი რამდენადმე ნაკლებს, პატარა დათიკო სულ 8 წლისაა, მაგრამ მასაც აქვს „სამი მატჩის გამოცდილება". გარდა ამისა იგი ჭადრაკს სწავლობს ცნობილი მწვრთნელის შოთა ინწკირველის ხელმძღვანელობით. გავიდა ის დრო, როდესაც დათიკო ახმაურდებოდა ხოლმე, როდესაც სცენაზე დედას ხედავდა. ახლა იგი დინჯად იჯდა სატურნირო დარბაზში, ზოგჯერ პრესცენტრსაც კი ეწვეოდა და ექსპერტებს უსმენდა.

მაიას ამჯერად მამაც ახლდა თან, დებიც, დეიდაც, ნათესავები, მაგრამ საკუთარი ალიარებით ფასდაუდებელ დახმარებას მაინც დედა უწევდა. ქალბატონმა ნელიმ, ჭადრაკის შესწავლა, შეიძლება ითქვას მაშინ დაიწყო, როდესაც თამაშმა მისი გოგონა გაიტაცა. ეს იყო 9 წლის წინათ. ამ ხნიდან მოყოლებული, იგი ესწრებოდა მაიას ყველა სატურნირო თუ სამატჩო პარტიას (ასეთი უკვე 500 გახლავთ!), ასე გასინჯეთ, საწვრთნელ მეცადინეობებსაც. ამ მეტად თავაზიან და მოკრძალებულ ქალს, რომელიც ბუნებით ძალიან თავშეკავებულია, უნარი შესწევს თავის შვილს ნამდვილი ცეცხლი დაუნთოს, მას საბრძოლო განწყობილება მისცეს. პირდაპირ შესაშური ღირსებებია!

ჩვენ გვინდა მატჩი პირობითად ორ ნაწილად გავყოთ. პირველს 1-9 პარტიებს მივაკუთვნებთ. რა გვიჩვენა ამ ნაწილმა? ჩემპიონის საკმაოდ არათანაბარი თამაში სტარტზე (ეს ადრეც გვინახავს), სასტიკი ცაიტნოტები (ამას არასოდეს მოვსწრებვართ), ჩვენთვის გაუგებარი ცდა ძველებური, ნაკლებ ეფექტური დასაწყისების გამოყენებისა. ნონა მძიმედ, თითქოს და გაუბედავად თამაშობდა. ეს დიდად მოულოდნელი გახლდათ, მით უმეტეს, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მსოფლიოს ჩემპიონმა პირდაპირ ბრწყინვალედ ითამაშა დორტმუნდში, სადაც გამარჯვებულს, ცნობილ შვედ დიდოსტატ ულფ ანდერსონს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა და თანაც ჩინებული პარტია მოუგო. არ დარჩენილა საჭადრაკო ჟურნალი (ასეთი კი უამრავი გამოდის), ეს პარტია რომ არ გამოექვეყნებინათ.

მაია ჩიბურდანიძემ მატჩი სხვა მონდომებით, სხვა შემართებით და გზნებით დაიწყო, ვიდრე პრეტენდენტთა სამ ადრინდელ შეხვედრაზე. ეს ეტყობოდა პირველ სამ პარტიას, სადაც მაია ბრძოლისაკენ მიილტვოდა, უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც საყაიმო შედეგს სჯერდებოდა. და აი დადგა მეოთხე პარტია, მაიას აზრით, საუკეთესო რომ გამოდგა ამ მატჩში. „ეს იყო დაცვიდან კონტრშეტევაზე გადასვლის კლასიკური ნაგალითი" — წერდა ბერლინის გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი". ამ პარტიამ, რომელმაც აღაფრთოვანა ჭადრაკის ექსპერტები, ყველას აჩვენა, რომ 17 წლის პრეტენდენტი ნამდვილად უკომპრომისოდ იყო განწყობილი. მსოფლიოს ჩემპიონმა წააგო მეხუთე პარტია, სადაც წინა შეხვედრის შედეგის ზეგავლენით მოინდომა მეტოქის გასწორება, მაგრამ ეს მოუმზადებლად გააკეთა.

ცხრა პარტიის შემდეგ, როდესაც ანგარიში 5,5-3,5 გახდა, ჩვენ ნამდვილი ნონა გაფრინდაშვილი ვიხილეთ — ენერგიული, შემტევი, მძაფრი ბრძოლის მსურველი. მე-10—მე-13 პარტიებში მას საერთო ანგარიშით დიდი უპირატესობა ჰქონდა და თამამად შეეძლო დაკარგულის აღდგენა. შეეძლო, მაგრამ ვერ აღიდგინა. ზოგჯერ ნონა წამით მოდუნდა, ზოგჯერ, რომ იტყვიან, არ გაუმართლდა იმედი, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მთელი ამ თავისთვის მძიმე სერიის მანძილზე მაია ჩიბურდანიძეს ოდნავადაც არ დაუკარგავს თავისი ძალების რწმენა. იგი მეტად შეუპოვრად იცავდა თავს, კვლავინდებურად მეტად სწრაფად თამაშობდა („ასეთი სწრაფად მოთამაშე მოჭადრაკე მე საერთოდ არ მინახავს", თქვა პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა მიხეილ იუდოვიჩმა, როდესაც მეთოთხმეტე პარტიის საწყისის ნაწილს მაიამ 5 წუთი მოანდომა ნონამ კი 1 საათი და 25 წუთი). და ამ ოთხ პარტიაშიც ორი ქულა მოაგროვა. ერთი სიტყვით, მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყდა.

მეთხუთმეტე პარტია უკანასკნელი გამოდგა. მასში ნონა გაფრინდაშვილს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, რათა ბრძოლის გაგრძელებას საშუალება მისცემოდა. ნონას მართლაც ჰქონდა მოგების კარგი შესაძლებლობები, მაგრამ ვერ გამოიყენა. და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაზე საყაიმო პოზიცია წარმოიქმნა, თამაშის დამთავრებამდე კი სულ 10 წუთი რჩებოდა. „ნონა გადადებს ამ პარტიას,“ ამბობდნენ სატურნირო დარბაზში. „პარტია აუცილებლად გადაიდება“, ამბობდნენ პრესცენტრში. ბევრი მოჭადრაკე სწორედ ასე მოიქცეოდა, მაგრამ ნონა ჩვენი დიდებული და შეუდარებელი ნონა გაჭირვებაშიც დიდებულად მოიქცა, იგი წამოდგა, მეტოქეს მატჩის მოგება, მსოფლიოს ჩემპიონობა მიულოცა, აკოცა და დატოვა სცენა...

რა თქმა უნდა, ბიჭვინთის საკურორტო დარბაზის სცენის დატოვება ნონასათვის ჭადრაკის სცენის დატოვებას არ მოასწავებს. „უბრალოდ დასრულდა მისი ცხოვრების ერთი თავი, ბრწყინვალე საჭადრაკო კარიერა კი გაგრძელდება“ –– გვითხრა ფიდეს მდივანმა ქალბატონმა ინეკე ბაკერმა. ასე ფიქრობს ჭადრაკის სამყაროც. ადვილად შეიძლება, რომ სამი წლის შემდეგ დიდ მატჩში მსოფლიოს პირველობაზე ერთმანეთს ისევ ეს მეტოქეები შეხვდნენ...

ჭადრაკის ექსპერტებს სიტყვები არ ჰყოფნით, რათა აღფრთოვანება გამოხატონ მსოფლიოს ახალი ჩემპიონის თამაშით. რა თქმა უნდა, ჩვენ გუშინ არ გაგვიგია მაია ჩიბურდანიძის სახელი! 1978 წელს თბილისში მსოფლიოს მაშინდელი ჩემპიონის რობერტ ფიშერის უახლოესი მეგობარი, საერთაშორისო ოსტატი ენტონი სეიდი ჩამოვიდა. მასთან საუბარში ვთქვი, რომ „ჩვენც გვყავს ფიშერი“. სეიდიმ უცხოელისათვის მართლაც ძნელად დასამახსოვრებელი მაიას გვარი ვერაფრით დაიხსომა და მთხოვა მისთვის ბლოკნოტში ჩამეწერა იგი. ცხადია, შემდეგში სეიდი მრავალგზის ჩახედავდა თავის ბლოკნოტს.

„ეს ხომ მეორე ნონაა!“ — თქვა თბილისში საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მატჩის დროს განთქმულმა იუგოსლაველმა დიდოსტატმა სვეტოზარ გლიგორიჩმა. მაია მართლაც ნონას მაგალითით აღიზარდა და მისი პარტიებით დაოსტატდა, მან გაითვალისწინა და შემდგომშიც გაითვალისწინებს მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეების საიდუმლოებას.

როგორღაც უხერხულია ვთქვათ, რომ იმ მოჭადრაკის ნამდვილი საჭადრაკო გზა, რომელმაც უკვე მოასწრო დაემარტოებინა სამი უძლიერესი პრეტენდენტი და თვით მსოფლიოს ჩემპიონიც, ახლა იწყება. მაგრამ ეს ნამდვილად ასეა. „ცხოვრებაში ერთხელ არის 18 წელი“ — გავიხსენოთ ცნობილი სიმღერა. ახლა კი ვუსურვოთ ჩვენს საამაყო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს ბედნიერება, ახალ-ახალი წარმატებები და მისი უბადლო ნიჭის სრული გაფურჩქვნა. იმას, ვინც ბუნებამ მეტისმეტად, გულუხვად პირდაპირ ვთქვათ, არნახულად გულუხვად დაასაჩუქრა, ძალიან ბევრი რამ მოეთხოვება თავისი სამშობლოს და საჭადრაკო ხელოვნების მიმართ!

გივი გამრეკელი












კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრები ნანატრ მხარეში

ზუგდიდი კოკისპირული წვიმით დაგვიხვდა. წვიმდა გადაუღებლად, სულმოუთქმელად. ქალაქის თავზე ტყვიისფერი, წყლით გაბერილი ღრუბლები იწვნენ და, მათ შემხედვარეს სასო გვერთმეოდა — ასეთ ამინდში წარმოუდგენელი ჩანდა სვანეთს გამგზავრება.

— დარდი ნუ გაქვთ, უსათუოდ გადიკარებს, — გვამშვიდებდა ჩვენი ზუგდიდელი მასპინძელი თამარ ქუჩულორია. — თუ არა და, თავზე არ გვაწვიმს, გამოდარებამდე ჩვენთან დარჩით და მერე წაბრძანდით.

მაგრამ ექვსი საათისათვის მესტიის კულტურის სახლში შეხვედრა იყო დანიშნული....

— უამინდობამ არ შეგაშინოთ, ბატონო, — ჩაგვილაპარაკა ჩვენი ავტობუსის მძღოლმა. — სვანეთის გზაზე ახლა ასეთ ამინდში კი არა, წკვარამსა და უკუნეთში შეიძლება მგზავრობა.

ჩვენც მთლად გამოდარებას აღარ დაველოდეთ და სწორადაც მოვიქეცით, რადგან ჯვარში რომ ავედით, უკვე აღარ წვიმდა, ხოლო ენგურის ხეობაში შესულთ თავს ისეთი კამკამა ლურჯი ცარგვალი დაგვადგა, ისე უშფოთველად კაშკაშებდა მზე, თითქოს საავდრო ღრუბლებს ამ ცის კაბადონზე არც გადაევლოთ.

პატარა ავტობუსი ფართო, მოასფალტებულ შოსეზე მიჰქროდა. გზა მოსრიალილი ქამანდივით მისდევდა მთების ფერდობებს. მდინარის ნაპირს, ხან მაღლა ადიოდა, ხან დაბლა ეშვებოდა. ხან ჰორიზონტზე შეჯარულ მთებს ებჯინებოდა და თითქოს იქ მთავრდებოდა.

მაგრამ ჩვენს მიახლოებაზე მთები ზღაპრული, კეთილი გოლიათებივით განზე დგებოდნენ, გულს უხსნიდნენ ქათქათა გზატკეცილს, მერე უკან რჩებოდნენ და მწვერვალებთან შერჩენილი ნისლის ხილაბანდებით გამოსათხოვარ სალამს გვიძღვნიდნენ.

თბილისის ქალთა საბჭოს წევრები — ცამეტი ქალი ზემო სვანეთს მივემგზავრებოდით. თან გვახლდა ექიმთა ჯგუფი, თბილისის ჯანდაცვის განყოფილების გამგის ლევან აბაშიძის ხელმძღვანელობით.

ავტობუსში თითქმის უხმრად ვისხედით. ჩუმად იყვნენ ისინიც, ვინც პირველად იხილა ენგურის ხეობა — ბუნების ეს საოცარი, გრანდიოზული ქმნილება და ისინიც, ვისი ფიქრიც ავტობუსს წინ უსწრებდა, ბეჩოსთან, უშგულთან, მულახთან ხელახალი შეხვედრის მოლოდინში ბედნიერების წინათგრძნობით გარინდულიყო. ასეთ ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს საყვარელ და დიდი ხნის ნანატრ მხარესთან შეხვედრა.

ბოლოს სიჩუმე ჩვენი დელეგაციის მეთაურმა ნინო ქვანიამ დაარღვია:

— მართლაც საშვილიშვილო საქმე გაკეთდა — დიდებული გზაა! მოდი, ოლია, გაიხსენე, ამ გზაზე დასახსომებელი რა შეგმთხვევია. ოლია ნაკანი ერთხანს დუმდა. მან, ამ მხრის მკვიდრმა, თითქმის ოთხი ათეული წელი იმუშავა ზემო სვანეთში ხელმძღვანელ სამუშაოზე. ჰოდა, რომელი ერთი შემთხვევა გაიხსენოს — სვანეთის ყველა სატკივარი, სვანი კაცის ფიქრი და ოცნება ხომ გზასთან იყო დაკავშირებული.

მერე თქვა:

— ერთხელ, — მაშინ მესტიის კომკავშირის რაიკომის მდივანი ვიყავი, ცხენით ხაიშს გამოვემგზავრე კომკავშირულ კრებაზე დასასწრებად. შინ დედამთილს ხუთი თვის ჩვილი დავუტოვე. კრება დავამთავრეთ, გამომგზავრებას ვაპირებდი და უცებ გზაზე დიდი ზვავი ჩამოწვა. სამი დღეამე მოუნდა თოვლის გაწმენდას. სამი ღამე არ მძინებია. ან რა დამაძინებდა, შვილი უჭმელი მყავდა.

მეორე შემთხვევასაც გიამბობთ. იმ ხანობას უკვე პარტიის რაიკომის მდივანი ვიყავი. აი ამ ადგილზე შევხვდით ერთმანეთს მე და ჩემი ქმარი. მე მესტიაში ვბრუნდებოდი, ის აქეთ მოდიოდა. მანქანებით ასიოდე მეტრზე რომ მივუახლოვდით ერთმანეთს, უცებ ჩაწვა, ჩაინგრა გზა. მიდის და ჩვენც თან გვითრევს. ასე, ერთმანეთის თვალწინ ვიღუპებოდით. სასწაულით გადავრჩით და ამის შემდეგ ერთმანეთს პირობა ჩამოვართვით, რომ ერთდროულად არ გავსულიყავით მესტიიდან, რაიმე ბრმა შემთხვევას ერთად არ ვემსხვერპლეთ და შვილი სულ მთლად ობოლი არ დაგვრჩენოდა. მაგრამ ის პირობა ვინ შეასრულა...

— ახლა ის გვიამბე, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში რომ გამოგიძახებდით და სამი დღე უნდებოდი თხილამურებით ზუგდიდში ჩამოსვლას. — ახსენებს ნინო ქვანია.

— მე ხშირად ჩამოვდიოდი, — შენ ვერ ამოგიყვანე სვანეთში, — ნაწყენი ხმით უპასუხებს ოლია. — ოცდაათი წლის განმავლობაში გეხვეწებოდი მესტუმრე-მეთქი და ახლაღა მოდიხარ, როცა მე თავად სტუმარი ვარ მესტიაში.

საუბარში ელენე ჩოფიკაშვილი, ეკატერინე ალანია და თამარ ვარდანაშვილი ებმებიან. იხსენებენ კომკავშირული მუშაობის მოუსვენარ, დაუვიწყარ წლებს, იგონებენ საერთო მეგობრებს, ძვირფას სახელებს, მზაურობით დაღლილი სახეები ცოცხლდება, თვალები ახალგაზრდულად ელავს, ხმას ახალგაზრდული სიკასკასე უბრუნდება.

ჩვენ სულგანაბული ვუსმენთ. ახლა, კომკავშირის მესამოცე წლისთავის იუბილეს დღეებში ვეტერანთა საუბარი გულს რაღაც სხვანაირად ხვდება...

გზა შეუმჩნევლად ილევა და, აი, უკვე მესტიაში ვართ. კულტურის სახლში ზემო სვანეთის ქალთა ნამდვილი ფორუმია. შეხვედრას ორასამდე მრავალშვილიანი დედა ესწრება, მათ შორის ჩვიდმეტი — გმირი დედა.

საღამოს ხსნის მესტიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მურად უშხვანი. მერე სტუმრები და მასპინძლები გამოდიან. არავითარი პარადულობა, არც ერთი ხმაურიანი სიტყვა. ყველა ორატორი თავისი განწყობილების გამოსახატავად ნაღდ, მართალ სიტყვებს პოულობს და მსმენელთა გულამდე აღწევს. ნინო ქვანია, ელენე ჩოფიკაშვილი, ეკატერინე ალანია, სოფიო გამრეკელი, ლევან აბაშიძე, ქეთევან ოტიაშვილი, თინა სხირტლაძე და მარინე ილაშვილი ტაშის გრიალში ამთავრებენ გამოსვლებს.

მერე სიტყვას მასპინძლები იღებენ. მრავალშვილიანი დედების სახელით გვესაუბრება ეკატერინე ჭკადუა, მესტიის ქალთა აქტივის სახელით — ლუბა ჭელიძე. ისინი დღევანდელი სვანეთის, მისი წინსვლისა და წარმატებების ამბებს ყვებიან, მოსაყოლი კი მართლაც ბევრი აქვთ.

ამაში შემდეგ ვრწმუნდებით, როცა მესტიასა და მის მიდამოებს ვათვალიერებთ. უკანასკნელ წლებში ამ მხარემ იმდენი სასიკეთო ცვლილება განიცადა, ათეული წლების მანძილზე რომ ვერ მოითვლიდა: დამთავრდა სვანი კაცის საუკუნეობით ნანატრი ახალი გზის მშენებლობა, რაიონის ელექტროფიცირება. მესტიის რაიონის თითქმის ყველა სახლის სახურავზე წამოიმართა სატელევიზიო ანტენა.

გზა, შუქი, რადიო, ტელევიზია.... ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე ელენე ჩოფიკაშვილი საჩუქარს გადასცემს მრავალშვილიან დედებს



ექიმთა ჯგუფი კონსულტაციას უწევს ადგილობრივ კოლეგებს.

საათი. საქმიანი შეხვედრების გარდა, ქალთა საბჭოს წევრებს სხვა საინტერესო ღონისძიებებიც ჰქონდათ. ჩვენმა მასპინძლებმა — ლეილა ვიბლიანმა და ოლია ნაკანმა ჭკვიანურად შედგენილი გეგმით ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს სტუმრობა დაუვიწყარი ყოფილიყო ყველა ჩვენგანისათვის.

დავათვალიერეთ მესტიის მხარეთმცოდნეობის დიდებული მუზეუმი, XI საუკუნის ბრწყინვალე ძეგლი — ეცერის მთავარანგელოზის ეკლესია, არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც სვანეთში პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებს შოთა ჩართოლანის ხელმძღვანელობით. დაუვიწყარი იყო სტუმრობა „კლდის ვეფხვის“ — მიხეილ ხერგიანის ოჯახში.

გამომგზავრების წინ ძველი სვანური კოშკი და მაჩუბი მოვინახულეთ. კოშკის ვიწრო, შვეულ კიბეს ჯერ ფერიკო ილაშვილი, გიული ჯალაღანია და მე ავუყევით, მერე სხვა ქალებიც ამოგვყვნენ. ქოშინით ავიარეთ ხუთი თუ ექვსი კიბე და ბოლოს სახურავს თავზე მოვექეცით.

აქედან ისეთი წარმტაცი სანახაობა გადაგვეშალა, რომ სახტად დავრჩით: ცათაბჯენილი მთებით გარშემორტყმული, ოქროსფერ სხივებში დატბორილი იწვა ჩვენს წინ მესტია. სწორედ ამ დროს, ჩვენდა საბედნიეროდ, სამი დღის ამაო ლოდინის შემდეგ, პირველად მოიცილა ნისლის რიდე და მთელი თავისი დიდებულებით აელვარდა მწვერვალთა თეთრი დედოფალი — თეთნულდი.

აღარ მახსოვს, იქ რამდენ ხანს შევრჩით. როცა დაბლა დარჩენილებს შევუერთდით და შთაბეჭდილება გავუზიარეთ, ჩვენი დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, სვანეთიდან ფეხს არ მოვიცვლი, თუ ამ კოშკში არ ავედიო.

ოლია ნაკანმა შეიცხადა: არაფრით არ გაგიშვებ, ნამდვილად ჩამოვარდებიო. მაგრამ იმან ყური არ ათხოვა და პირველ დამრეც კიბეს შეუყვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მისი ძახილი გვესმის. ავიხედეთ და კოშკის სახურავზე არ დგას? — ეჰეჰეი, — გვეძახის და სვანურ ქუდს აფრიალებს.

დაბლა ჩამოსულს, სახეზე ბედნიერი ღიმილი აფენია და ანაზდად ვფიქრობ, რომ პირველად ვერ ვამჩნევ იმ განუყრელ კაეშანს, რომელიც ყველაზე დიდი მხიარულების წუთებშიც არ სცილდება ხოლმე მისი თვალების სიღრმეს.

ოლია, მისი ძველი მეგობარი, აქაც ვერ ითმენს და, ვინ მოსთვლის, მერამდენედ, უსაყვედურებს:

— ოცდაათი წლისას რომ გეპატიჟებოდი, მაშინ უნდა ჩამოსულიყავი და ახლა, ამ სამოცი წლის ქალს აღარ მოგიწევდა მაგ კიბეებზე ასვლა!

— მერე რა, — ეუბნება ნინო და თეთრ, მთლად თეთრ თმაზე ისვამს ხელს. — ადრე თუ გვიან, მაინც ხომ ამოვედი...

**ნანული ბარათაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალების ზრუნვა და ყურადღება

კრების ოქმიდან: „... კამათში გამოსულნი ერთხმად მოითხოვენ სოფიო ჯაბანაშვილისა და გოგონა გაგუას სახელობის პრიზების დაწესებას“... საუცხოო წინადადებააო, ყველა აღიარებს.

მეათე ხუთწლედის დამკვრელებს რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში მრავლად ჰყავთ მიმდევრები. ვინ არ იცნობს მერი აბესაძეს — სკკპ XXV ყრილობის დელეგატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერს, გალინა ქარჩავას — ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერს, ვალენტინა რიჟოვა-ოზბეთელაშვილს — პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრს, საქალაქო საბჭოს დეპუტატს, თამარ გოზალოვას, ნარგიზა ქურდაძეს — შრომის წითელი დროშის ორდენოსნებს...

ოცდაოთხ საამქროში ოთხი ათასზე მეტი მუშაა. მათ შორის, 80 პროცენტი ქალია. ძირითადად — ქიმიურ, სართავ, კორდის პირველ და მეორე საგრეხ, საქსოვ, აბრეშუმის პირველ და მეორე საგრეხ, გადამხვევ საამქროებში ვაჟკაცური შემართებით შრომობენ ქალები. წუნს ვერ დასდებთ მათს ნახელავს — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში რომ გადის — კორდის ტექნიკურ ძაფსა თუ კორდის ქსოვილს (ავტომანქანების საბურავების წარმოებაში ესოდენ საჭიროს), სახალიჩე ნართსა თუ ელასტიკურ ძაფს, კაპრონის ჯაგრისებსა თუ ხელოვნურ აბრეშუმს, შტაპელურ ბოჭკოს ძაფსა თუ ფართო მოხმარების საგნებს (საყოფაცხოვრებო დანიშნულების თოკებს, ჯაგრისებს, პროდუქტების შესაფუთავ ბადეებს და სხვ.) ქარხანა სახელმწიფო ხარისხის ნიშნით უშვებს სამი სახეობის პროდუქციას — სასაქონლო პოლიამიდურ მარცვალს, ჯაგრისსა და შტაპელურ ბოჭკოს.

მონოტონურად გუგუნებენ დაზგები, ელვის სისწრაფით ბრუნავენ ფერადფერადი მასრები. მანქანა-დანადგარებისა და საამქროს კედლების ფერები ჰარმონიულად ეხამება და ხალისიან განწყობილებას უქმნის ადამიანს.

„მიმდინარეობს ქალის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების რესპუბლიკური დათვალიერება!“ — ვკითხულობთ პლაკატებზე. ... ქალებიც გამოთქვამენ სურვილებს, შენიშვნებს, წინადადებებს — რა უნდა გაკეთდეს ქარხანაში იმისათვის, რომ სამუშაოსაკენ ყველას მიუხაროდეს და რაც შეიძლება ნაყოფიერი იყოს მათი შრომა.

... ვრცელია კორდის პირველი საგრეხი საამქრო. გარემოს დაგაზიანება ნორმაზე მეტი იყო და სავენტილაციო დანადგარებმა გააუმჯობესა სამუშაო ადგილების კლიმატი. დამონტაჟდა ხუთი ახალი დიდი წარმადობის მანქანა, რამაც საგრძნობლად შეამცირა ხმაური და, ამასთან, შესაძლებელი გახადა ღამის ცვლიდან გამოეთავისუფლებინათ სამასზე მეტი ქალი. შრომის მავნე პირობებიდან (სართავი საამქროს ფილიერების უბნიდან და გალვანური განყოფილებიდან) მსუბუქ სამუშაოზე გადაიყვანეს 12 ქალი. საფეიქრო საამქროში გაუმჯობესდა განათება, შეკეთდა იატაკი — დაიგო მოზაიკა, გაიხსნა მექანიზებული შიდასატრანსპორტო ხაზები. კაპიტალურად შეკეთდა კორდის პირველი და მეორე, აბრეშუმის საგრეხი საამქროების სასადილოები. ყველგან მოეწყო საშხაპეები და გასახდელები.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა განკარგულებაშია სასურსათო და ნახევარფაბრიკატების, ხილ-ბოსტნეულის, წიგნების მაღაზიები, ქალთა და მამაკაცთა სალონები, სპეცტანსაცმლის რეცხვისა და ფეხსაცმლის შემკეთებელი ობიექტები, ოთხი სამედიცინო პუნქტი.

— მომავალში ყველა საამქროს წარმომადგენელს ექნება განსხვავებული ფერისა და ემბლემის (საამქროს სპეციფიკის გამომხატველი) სპეცტანსაცმელი, რომელიც აქვე, ქარხნის ტერიტორიაზე გახსნილ სალონში შეიკერება ინდივიდუალური დაკვეთით, — გვეუბნება პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ციალა თევდორაშვილი.

ქარხნის მშრომელებს სარვამარტო საჩუქრად გადაეცათ კეთილმოწყობილი ორსართულიანი სასადილო. უმალ ბედნიერებაც ეწვიათ — საბანკეტო დარბაზში ქორწილი გადაიხადეს.

ქარხნის საამქროების ხუთ სასადილოში მუდამ აქვთ ცხელი კერძები. მუშებს შეუძლიათ შინაც წაიღონ სადილი ათი პროცენტის ფასდაკლებით და თუ დღეს მაინც ვიწროდ გრძნობენ თავს, მომავალში შეუფერხებლად მოემსახურებიან მომხმარებლებს. რეკონსტრუქციის შედეგად მოემატებათ ფართი, დასაჯდომი ადგილები. კორდის მეორე საგრეხი საამქროს მუშა-მოსამსახურეებს ჩაისა და საკონდიტრო, რძის ნაწარმს შესთავაზებენ პირველი საამქროსას — დიეტურს, ხოლო აბრეშუმის საგრეხ საამქროელებს — ეროვნულ კერძებს.

მრავალ მუშას დაულოცეს ახალი ჭერი, თუმცა, საბინაო პრობლემა მთლიანად ჯერ კიდევ გადაჭრილი არ არის. წლეულს 238 საგზური გაიცა. მათ შორის 95 — სანატორიუმისა, 94 პანსიონატისა და დასასვენებელი სახლისა, 16 ტურისტული ბაზისა, 6 — ბავშვთა სანატორიუმისა...

— ვერაფრით უზრუნველვყავით დედებთან ერთად შვილების დასვენება. ამის გამო კი ბევრს ვკარგავთ. გარდა ამისა, ბაგა-ბაღები არ გვყოფნის (თუმცა, ორი შარშან ავაშენეთ, წლეულს კი — მხოლოდ ერთს ვაშენებთ). თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ქალაქში ერთადერთი სადღეღამისო საბავშვო ბაღია, ნათელი გახდება ჩვენი ქალების გასაჭირი, — ამბობს ივანე გრძელიძე — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის დირექტორი.

ქალაქიდან კარგა ხნის სავალია ქარხნამდე. ტრანსპორტი რეგულარულად არ მოძრაობს, რის გამოც განსაკუთრებით ღამის ცვლის მუშა-მოსამსახურეებს მგზავრობა უამინდობისას უჭირთ, ჩივიან, ხშირად საათობით ლოდინი გვიწევსო. მათი აზრით, ურიგო არ იქნებოდა თუ ერთ ახალ მარშრუტს, ქიმიური ბოჭკოს ქარხანასთან დაუწესებდნენ ბოლო გაჩერებას...

ოთხიათასკაციან კოლექტივს ნამდვილად ესაჭიროება საკუთარი პოლიკლინიკა და პროფილაქტორიუმი, რათა შესაძლებელი გახდეს მშრომელთა ჯანმრთელობის საფუძვლიანი გამოკვლევა და პროფილაქტიკური მკურნალობა. მათ კლუბიც უნდა ჰქონდეთ საკუთარი და პიონერთა ბანაკიც, სადღეღამისო ბაღიც და სპორტული მოედანიც.

ქარხნის 31 მშრომელი საქალაქო საბჭოს დეპუტატია, აქედან 25 ქალია. მარტო ერთი საამქროდან 17 ქალი მუშაობს 1983 წლის ანგარიშით.

ცისანა ქორქია — კომუნისტური შრომის დამკვრელი; ქეთინო ქაჯაია — ქიმიური მრეწველობის ოქროს წარჩინებული, დამსახურებული ინჟინერი; ლუიზა მთვარელიძე — შრომის დიდების ორდენოსანი...

ისინი მრავლად არიან ქარხანაში, და აკი მრავალიც აქვს საზრუნავი ქარხნის ადმინისტრაციასა, თუ პარტიის, პროფკავშირისა და კომკავშირის საქარხნო კომიტეტებს...

* * *

კიდევ ერთი ნაცნობი მისამართი — თბილისი, ლესელიძის 22. სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“.

ჩვენს მაღაზიებში მრავლად ნახავთ აქაურ ნაწარმს — მამაკაცის კოსტიუმებს, პიჯაკებსა და შარვლებს. ფაბრიკის პროდუქცია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში იგზავნება.

„ამირანში“ შვიდი ნაწარმი სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხის ნიშნით იკერება... მაგრამ საინტერესოა, როგორ და რა პირობებში?

ფაბრიკაში პირველი მისვლითვე რწმუნდებით — აქაურებს ელემენტარული სამუშაო პირობებიც კი არ გააჩნიათ. მოძველებულია შენობა. სამ სამკერვალო, მოსამზადებელ, საგამომჭრელო საამქროებსა და ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში ორ ცვლად მუშაობს რვაასამდე მუშა-მოსამსახურე, უმეტესობა ქალებია.

საამქროში სივიწროვეა. აქ გაჩერება, განსაკუთრებით ზამთრობით, ჭირს. გასახდელები არა აქვთ და საამქროებში საკიდები ძლივს იტევს პალტოებსა და ჩანთებს.

— ამისათვის ხშირად დავუჯარიმებივართ ქალაქის სანეპიდსადგურის მუშაკებსა თუ მეხანძრეებს, — გულისტკივილით ამბობს პირველი სამკერვალო საამქროს უფროსი სოლომონ ბიჩინაშვილი.

გრიალებს საკერავი მანქანები. საამქროში ოხშივარი ადის. აქვე თბური დანამვით მუშავდება კოსტიუმები. ორთქლის გაყვანილობა დაზიანებულია და წყალს აქა-იქ აუყრია პარკეტი. უამისოდაც სიკეთე არ ადგას იატაკს — ქსოვილების ნარჩენებითაა მოფენილი.

მიზეზი?

ორიოდე დამლაგებელი ჰყავთ ფაბრიკაში, თუმცა შტატით მეტი ეკუთვნით...

... სივიწროვეა საგამომჭრელო საამქროშიც. ზედა სართულიდან წყალს გამოუჟონავს. ალაგ-ალაგ ჩამონგრეულია ჭერი და კედლები.

შედარებით ნათელია მეორე სამკერვალო საამქრო. მოჩითული ფარდები მყუდრო, სასიამოვნო გარემოს ქმნის.

— გასახდელი, ქალთა ჰიგიენის ოთახი, პატარა სასაუზმე რომ გვქონოდა... — ნატრობს მეორე საამქროს უფროსი რუსუდან გორდულაძე.

... სამი პატარა ოთახი უჭირავს სამედიცინო პუნქტს. მაგრამ დამაკმაყოფილებელი არ არის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. მედიკამენტები აქვთ, ოღონდ კარადებში გამოუკეტავთ.

მუშა-მოსამსახურეებს სასადილოს მიმართაც აქვთ პრეტენზიები. სასაუზმეშიც ფერხდებაო ძეხვეულისა და რძის პროდუქტების დროულად შემოტანა.

— პირველი ცვლის მუშებს შესვენებაზე ხშირად ლიმონათის მეტი არაფერი ხვდებათ, — ვერ ფარავს სიმართლეს მებუფეტე მაყვალა ბუთიაშვილი.

— მაცივრები დაზიანებულია, ელექტროქურა შესაკეთებელი. ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს მთელი დღე ცივ ფილებზე მუშაობა, არა გვაქვს ხის ფეხის სადგამები. დამლაგებელი ვერ ვიშოვეთ და ჰიგიენური ნორმების დაცვა გვიჭირს, — წუხს უფროსი მზარეული გიორგი გვიმრაძე.

ფაბრიკაში კვლავ მტკივნეულ საკითხად რჩება კადრების დენადობა. — ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ არა გვაქვს ისეთი სამუშაო პირობები, როგორიც საჭიროა.



მარტო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიდან ყოველწლიურად ოთხმოცამდე ახალგაზრდა მოდის. მალე უკანვე მიდიან. მათი უმეტესობა რაიონიდან არის და... ვერ ხერხდება თბილისში ჩაწერა. ფაბრიკას კი არ გააჩნია საერთო საცხოვრებელი, — აღიარებს ფაბრიკა „ამირანის" დირექტორი ნოდარ მუსერიძე.

თუმცა, უწინდელთან შედარებით პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. მუშა-მოსამსახურეთათვის შენდება საცხოვრებელი სახლი (ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებით ფაბრიკის ტერიტორიაზე უნდა გამოთავისუფლებულიყო სათანადო ფართობი საცხოვრებლისათვის, მაგრამ საქმე ადგილიდან ჯერ არ დაძრულა).

მეორე სამკერვალო საამქროში საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავის დღეს საზეიმოდ ამოქმედდა ახალი ნახევრადავტომატური ხაზი. ახალი მანქანა-დანადგარები ქალებს საგრძნობლად უმსუბუქებს შრომას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. შენდება სათავსოები საშხაპეებისა და გასახდელების, ტუალეტების მოსაწყობად, აშენდება ახალი სასადილო.

ზინაიდა ქვაჩაძე — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, ქალის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების რესპუბლიკური დათვალიერების კომისიის თავმჯდომარე:

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, დედათა და ბავშვთა დაცვის გაუმჯობესების პრობლემების განხილვამ და მიმდინარე დათვალიერებამ გვიჩვენა — ჩვენი რესპუბლიკის მრავალ საწარმოსა და დაწესებულებას ამ სფეროში დადებითი გამოცდილება აქვს. საჭიროა მათი განზოგადება და გაფართოება. თვალნათელი გახდა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებებიც. ქალთა შრომის, დასვენების პრობლემა, ცხადია, დღის წესრიგიდან არ არის მოხსნილი. ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება, ხელით შრომის მექანიზაციით შეცვლა და ქალებისათვის არასრული სამუშაო დღის დაწესება, ქალთა შინ მუშაობის ფართოდ გამოყენება კვლავაც დგას კომისიის ყურადღების ცენტრში...

„რესპუბლიკაში არის ისეთი საწარმოები, სადაც ნაყოფიერი შრომისა და კულტურული დასვენების ფრიად სასურველი პირობებია შექმნილი, სადაც ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ყოველნაირად ცდილობენ მუშა ქალებს არ მოაკლონ ზრუნვა და ყურადღება", — ითქვა სესიაზე.

ასეთი საწარმოები კი რესპუბლიკაში თითებზე ჩამოსათვლელი არ უნდა იყოს.

**ნათელა ქიმერიძე**

# გვეკითხებიან — ვუპასუხებთ

თუ ერთწლიანი ლიმონი შეიძინეთ, იგი უნდა დარგოთ 8-10 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე ქოთანში, რომელშიც წინასწარ იქნება ჩაყრილი მპალა მიწის, კორდისა და ცოტაოდენი სილის ნარევი. პირველ წელს იგი სამჯერ უნდა გადაირგოს, ოღონდ ეს არც ზამთარში უნდა მოხდეს და არც გვიან შემოდგომაზე. მომდევნო სამ წელიწადს გადარგვა ხდება ყოველწლიურად. ამასთან, ყოველი გადარგვის დროს ქოთანი სამიოთხი სანტიმეტრით განიერი უნდა იყოს, ისე რომ, ძველი ქოთანი ახალში თავისუფლად ჩადიოდეს, უფრო ხნიერი მცენარის გადარგვა კი სამ წელიწადში ერთხელ ხდება. ლიმონი ისე უნდა გადავრგოთ, რომ ფესვები შევუნარჩუნოთ. ამისათვის მცენარეს თავდაყირა გადმოვაბრუნებთ, ქოთანს გვერდებზე შემოვუკაკუნებთ და ქოთნიდან მიწიანად გამოვიღებთ. ცხადია, მოზრდილი ლიმონი ქოთანში აღარ დაეტევა და იგი გეჯაში უნდა გადაირგოს.

მცენარის ფესვებს ჰაერი ესაჭიროება, რომელსაც ქოთნის ან გეჯის კედლებიდან და ნიადაგის ზედაპირიდან იღებს, ამიტომ ისინი ზეთიანი საღებავით არ უნდა შეიღებოს და არც ქაღალდი შემოეწებოს. ამავე მიზეზით მიზანშეუწონელია ლიმონის ჩარგვა თუნუქის ქოთნებში, ძველ ქვაბებში და მინის ჭურჭელში. თუ ქოთნის ზედაპირი გაჭუჭყიანდა, უნდა გაირეცხოს თბილი წყლით და სოდით, ხოლო მიწის ზედაპირი პერიოდულად უნდა გაფხვიერდეს. გადარგვის შემდეგ ლიმონი სისტემატურად უნდა მოირწყას. ზაფხულში ყოველდღიურად, შემოდგომაზე დღეგამოშვებით, ხოლო ზამთარში — სამ დღეში ერთხელ. მაისში კი, წყლით მორწყვის გარდა, ლიმონი კვირაში ერთხელ წუნწუხითაც უნდა მოირწყას. ამისათვის ერთი წილი წუნწუხი უნდა გაზავდეს ათ წილ წყალში.

ლიმონის მოსარწყავად არ უნდა დაველოდოთ, როდის მოუდუნდება ფოთლები. ასეთ შემთხვევაში მცენარე უძლურდება. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ლიმონი კარგად ირწყვება, მაგრამ ფოთლები მაინც უდუნდება და სცვივა. ასეთი რამ ზამთარში ხდება, როცა მცენარე ონკანის ცივი წყლით ირწყვება. ცივ წყალს ფესვები თითქმის არ შეიწოვს. ჭურჭელში ტენი ჭარბად გროვდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოვუაროთ ოთახის ლიმონს

ბა, ჰაერის ცირკულაცია წყდება, ფესვებს ესპობათ სუნთქვის საშუალება. საკვების მიწოდება სუსტდება და ფოთლები ცვივა. თუ ასეთი ქოთნის ან გეჯის მიწას დავყნოსავთ, მომჟავო სუნს ვიგრძნობთ. და ეს იმიტომ, რომ ნიადაგი დამჟავებულია და ფესვების ლპობის პროცესია დაწყებული. ამიტომ მოსარწყავად უნდა გამოვიყენოთ ოთახის ტემპერატურამდე შემთბარი წყალი. ანადუღები წყლით მორწყვა არ შეიძლება, რადგან მასში არ არის გახსნილი ჰაერი. არვარგა ხისტი, კირიანი ან ჭის წყალიც. მოსარწყავად ყველაზე უკეთესია წვიმის ან მდინარის წყალი. წყალი კი იმდენი უნდა დავასხათ, რომ მიწა კარგად დასველდეს და ცოტაოდენი ჭურჭლის ძირიდანაც გაიჟონოს. ლიმონის ფოთოლცვენის მიზეზი შეიძლება ფესვების ჰაერით გაცივებაც იყოს, რადგან ზამთარში ფანჯრის რაფაზე მდგარი ლიმონის გარშემო სხვადასხვა ტემპერატურის ჰაერი ტრიალებს. ფანჯრიდან მონაბერი ჰაერი ქოთანს ან გეჯას 6 გრადუსამდე აცივებს, ფოთლებს კი ამ დროს გარს უვლის 20-22 გრადუსის ტემპერატურის ჰაერი. გაცივებული ფესვები წყალს ვეღარ იწოვს, ფოთლები კი დიდი რაოდენობით აორთქლებენ, რის გამო იწყება ფოთოლცვენა. ასეთი რამ ხშირად სათბურებში შეძენილ ლიმონებს ემართება. სათბურში მათ ნოტიო და გრილი ჰაერი და თბილი ფესვები ჰქონდათ. ამიტომ ლიმონი ფანჯრის რაფაზე კი არ უნდა დავდგათ, არამედ მახლობლად, სპეციალურ სადგამზე.

ლიმონს ფოთოლი მაშინაც სცვივა, როცა მის გარშემო პაპიროსის მოჭარბებული კვამლი ტრიალებს. იმ სახლებში, სადაც ცენტრალური გათბობაა, ზამთარში ჰაერი მეტად მშრალია, რის გამო ლიმონი ცუდად გრძნობს თავს. ოთახში, სადაც ლიმონია, ჰაერის სინოტივე 70 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს (სინოტივე იზომება პიგრომეტრის საშუალებით). ამიტომ ჰაერის ტენიანობის მდგრადობისათვის უნდა ვიზრუნოთ. ამისათვის საკმარისია ლიმონთან დავდგათ ხავსით სავსე ქოთნები, ხოლო ფოთლებს წყალი შევასხუროთ. თუ ფოთლები მტვრით დაიფარა, თბილი წყლით უნდა გავბანოთ.

თვალყური უნდა ვადევნოთ ოთახის ტემპერატურულ რეჟიმსაც, რადგან ლიმონის ნორმალური ზრდა-განვითარება მხოლოდ 16-18 გრადუსის ტემპერატურის პირობებში მიმდინარეობს. ამიტომ ლიმონი ძალიან თბილ ადგილზე არ უნდა დაიდგას. მისი მოთავსება რეკომენდებულია აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთის ფანჯრებთან, ზაფხულში კი — აივანზე. ლიმონი ჰყვავის ზამთარში, გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ზამთრის ყვავილებიდან ნაყოფი არ ვითარდება. ნაყოფის მისაღებად უკეთეს შედეგებს იძლევა ზაფხულისა და შემოდგომის ყვავილების ხელოვნური დამტვერვა, რაც ერთი ყვავილის მტვრიანის მეორე ყვავილის ბუტკოზე გადატანით ხდება და ნაყოფი მხოლოდ მეხუთე რიგის შტოებზე, ანუ განტოტვაზე წარმოიქმნება. ასეთი ტოტების სწრაფად მიღებისათვის კი საჭიროა გასხვლა. ამისათვის ღერო უნდა გადაიჭრას 15 სანტიმეტრის სიმაღლეზე. გვერდითი კვირტებიდან განვითარდება შტოები, რომლებიდანაც მხოლოდ 3-4 ცალი უნდა დავტოვოთ და გადავჭრათ მაშინ, როცა 20 სანტიმეტრის სიგრძეს მიაღწევს, ე. ი. 3-5 ფოთლის ფაზაში. გადაჭრილი შტოებიდან განვითარდება მესამე რიგის ტოტები, რომლებსაც გადაჭრის მაგიერ შეიძლება ზედა, საზრდელი კვირტები შევაცალოთ. ასეთი წესით გასხვლისას მეხუთე რიგის შტოები 2-3 წელიწადში შეიძლება მივიღოთ, რომელთა სანაყოფე ტოტებზეც ყვავილთა კოკრები წარმოიქმნება.

კოკრები თვენახევარში იშლება, ნაყოფი კი ხუთ თვეში მწიფდება. მომწიფებული ნაყოფი ლიმონზე დიდხანს რომ შევინარჩუნოთ, ყუნწები ყოველდღიურად უნდა დავასველოთ თბილი, 25 გრადუსამდე შემთბარი წყალით. ერთი ნაყოფის მომწიფებისათვის საჭიროა ოცამდე ფოთოლი. ამიტომ თუ სანაყოფე ნასკვები მეტია, ვიდრე შესაფერისი რაოდენობის ფოთლები, ზედმეტი ნასკვები უნდა მოვაცილოთ. ოთახის პირობებში ლიმონის ერთი ხიდან ოცამდე ნაყოფს მივიღებთ, კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში კი შეიძლება 50-100 ნაყოფიც მივიღოთ.

აგრონომი ივანე ჯანიკაშვილი

# კერძებს ლიტერატურული გმირები გვთავაზობენ

ცნობილი გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი თომას მანი რომან „ბუდენბროკებში" ხშირად ეხება გასტრონომიულ საკითხს. ნაწარმოებიდან ამოღებულ ტექსტში საჭმლის დამზადების ტექნოლოგიაც არის მოცემული.

1. „ქალების საუბარს მადამ კროეგერი წარმართავდა. იგი სტუმრებს მადის აღმძვრელად უხსნიდა, როგორ აჯობებდა წითელ ღვინოში კობრის ჩაბულვა...

— თევზი, გენაცვალე, მოზრდილ ნაჭრებად დაჭერით, ზედ ხახვი, მიხაკი და დაფშვნილი ორცხობილა მოაყარეთ, ქვაბში ჩააწყეთ და ცოტა შაქარი მოაფრქვიეთ, ერთი კოვზი კარაქიც ჩაუმატეთ და ცეცხლზე შემოდგით... ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, თევზი არ გარეცხოთ, მთელი სისხლი თან უნდა შეჰყვეს"...

2. „ხანდახან, როცა კონსულის მეუღლეს შაკიკი აწუხებდა, დიასახლისობა მადამ გრიუნლიჰს ევალებოდა. მენიუს შედგენაც მისი საქმე იყო. ერთ დღეს, როცა ვიღაც ფრიად მადიანი მოძღვარი ჰყავდათ სტუმრად, ტონიმ მზარეულს მზაკვრულად ღორის ქონის სუპი შეუკვეთა. ეს აქაური ტრადიციული კერძი, მჟავე კომბოსტოთი შეკაზმული ბულიონი გახლდათ, რომელშიც ყველაფერი ერთად იყრებოდა: ღორის ხორცი, კარტოფილი, მჟავე ქლიავი, მსხლის ჩირი, ყვავილოვანი კომბოსტო, მუხუდო, ცერცვი, ბოლოკი და ვინ იცის, კიდევ რა. ყველაფერს ამას ხილის წვენსაც უმატებდნენ. თუ ბავშვობიდანვე არ იყო მიჩვეული ამ სუფს კაციშვილი პირს ვერ დააკარებდა.

3. (ბუდენბროკების ოჯახში საშობაო დღესასწაულზე)

„დღეს ყველას ჩვეულებრივზე ადრე ესადილა, ამიტომ ჩაისა და ბისკვიტებს მიეძალნენ, მაგრამ ჩაი დალიეს თუ არა, სუფრაზე დიდი ბროლის თასებით მოყვითალო, ხოროში, ფაფისებური საჭმელი შემოიტანეს. ეს ნუშის კრემი კვერცხის, დახეხილი ნუშისა და ვარდის წყლის ნარევი იყო — საოცრად გემრიელი ტკბილეული. მაგრამ ვინმეს ერთი კოვზით მეტი რომ მიერთმია, კუჭს საშინლად დაუმძიმებდა. თუმცა კონსულის მეუღლემ სუფრის წევრები გააფრთხილა, ვახშმისათვის კუჭში „პატარა ადგილი მაინც დაიტოვეთო, ნუშის კრემზე უარი მაინც არავის უთქვამს".

4. „ცხრა საათზე ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. ჩვეულებრივ, შობის საღამოს სუფრას სვეტებიან სადარბაზოში შლიდნენ... ყველას მოეწონა წაბლით, ქიშმიშითა და ვაშლით მუცელგამოტენილი ინდაური. ინდაურს გარნირად შემწვარი კარტოფილი, ორნაირი ბოსტნეული და ჩამუჟუჟებული ხილი ახლდა".

თ. კახელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამარ ბერძენიშვილი

1977 წელს შესრულდა 50 წელი იმ დღიდან, რაც თამარ ბერძენიშვილმა ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

ამ ხნის განმავლობაში მოუღლელმა პედაგოგმა რამდენიმე თაობას გაუკვალა გზა ცხოვრებაში. მისი ყოფილი მოსწავლეები პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში. ბევრნი სასახელოდ შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, ფაბრიკა-ქარხნებში; ზოგი მათგანი პარტიულ სამუშაოებზეა, ზოგი სამეცნიერო მუშაობას ეწევა.

თამარ ბერძენიშვილის პედაგოგიური მუშაობა შერწყმულია აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. დღეს ის თავისი მოწაფეების შვილებსა და შვილიშვილებს ასწავლის.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა თ. ბერძენიშვილის შრომა, იგი დააჯილდოვა შრომის წითელი დროშისა და ლენინის ორდენებით, მედლებით.

ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე პედაგოგი ქალი ჩვენი სოფლის ყოველი ოჯახის ჭირსა და ლხინს იზიარებს, მას ყველგან ისე ხვდებიან, როგორც სასურველსა და საყვარელ ადამიანს.

ანგისის სკოლის ყოფილი მოსწავლეები საყვარელ მასწავლებელს ჯანმრთელობას, ახალგაზრდული ენერგიის შენარჩუნებას უსურვებენ.

**ფერიდე აცამბა,**

**მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.**

**თენგიზ ჩურუკბა,**

**მოსკოვის სამეცნიერო და საწარმოო გაერთიანება „კომპლექსის“ უფროსი მეცნიერი მუშაკი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

**რევაზ დიასამიძე,**

**მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.**

# მოდა

ყოველი წლის გაზაფხულზე პარიზში საშემდგომო-საზამთრო მოდებს აჩვენებენ. ამ დროს პარიზის ერთ-ერთი უდიდესი საგამოფენო პარკის — „პორლე-ვერსალის“ ფართო საგამოფენო დარბაზებში მოდების თეატრალური ჩვენებაა გამართული. ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოდების საინფორმაციო ბიულეტენები და ბუკლეტები ვრცელდება. გამოფენაში მონაწილე თითოეულ ფირმას მიმზიდველად აქვს გამოფენილი თავისი საქონელი: ბეწვეული, ტანსაცმელი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი, ქუდები, ტყავსაგალანტერიო ნაწარმი, სამკაული თუ პარფიუმერია. გამოფენის დამთვალიერებლებს თვალს სტაცებენ საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული, მოხდენილი მანეკენები. ისინი ჩვეული სინატიფითა და გრაციოზულობით მიმოდიან დარბაზებში — ფირმის მეპატრონეებს „მოდური იდეების“, რეალიზაციაში ეხმარებიან. აქ ხომ უშუალო საქმიანი კონტაქტები მყარდება მოდის შემქმნელებსა და მის მწარმოებლებს შორის. ერთი სიტყვით, ყველგან სიახლის, კომერციისა და მოდის ფართო ინფორმაციის ატმოსფერო სუფევს.

რიგით 35-ე ტრადიციული მოდების საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა წელს პარიზში აპრილში მოეწყო. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფის მონაწილეებს საშუალება გვქონდა ორი დღის განმავლობაში ამ მეტად საინტერესო სასარგებლო გამოფენას გავცნობოდით. ამჯერად მასში მონაწილეობდა საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის, ა. შ. შ., იაპონიის, ესპანეთის, პოლონეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, თურქეთის, მონაკოსა და სხვა მრავალი ქვეყნის 1200 ფირმა, რომლებმაც საქმიანი კონტაქტები დაამყარეს 95 ქვეყნის 1000 მეტ ფაბრიკასთან.

ფრანგულ მოდას წარმოადგენდა ცნობილი ფირმები, — კარდენი, დიორი, ლა-როში, ლა-პიდუსი, ივ-სენ ლორანი, შანელი, ნინარიჩი, ლანვენი, შაპარელი პაკო-რაბანი.

მათ მიერ წარმოდგენილი კოლექცია კვლავინდებურად რამდენიმე სილუეტის, ფორმისა და სიგრძის თანაარსებობით ხასიათდება. სიახლე ძირითადად შეეხო ქსოვილსა და ტანსაცმლის მოცულობას, რომელიც თავისუფალი ფორმის, ირიბი თარგისა და ნაოჭების მეშვეობით საგრძნობლად გადიდდა. ამასთანავე, ტანსაცმელზე დეტალების რაოდენობა შემცირდა. ქსოვილებში, როგორც წესი, უპირატესობა ნატურალური ნართისაგან შექმნილ ქსოვილებს ეძლევა. რბილი, პლასტიკური თვისებების მქონე მოქნილი ქსოვილები ძირითადად პასტელური ფერებისა იყო. სჭარბობდა ჩალისფერის („ბეჟი“) გამა. ამ ბოლო დროს მოდაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარმა კომპლექტებმა და პიჯაკმა-ბლეიზერმა. ფრანგი მემოდელიორები მათ კვლავ გვთავაზობენ. თვალშისაცემია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჟილეტების სიმრავლე და ახალი ფორმის ვიწრო შარვლები.

თხელლანჩიან ფეხსაცმელს ქუსლი კიდევ უფრო ნატიფი და მაღალი გაუხდა. ჩექმებთან ერთად მოდაშია ე. წ. „პოლუსაპოშკები“.

ჩვენი ყურადღება, რასაკვირველია, მიიქცია ქუჩაში მოსეირნე ქალების ჩაცმულობამაც. ისინი სრული თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით გამოირჩევიან ტანსაცმლის შერჩევაში. მხოლოდ ერთი რამ აერთიანებს ყველას — კარგი გემოვნება და ჩაცმის მოხდენილი მანერა.

**ლ. ხვედელიძე**

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ; ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐ.
Გ. ᲝᲩᲘᲐᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ „ᲖᲦᲕᲐᲖᲔ“. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.


| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: Ნ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, Ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ (მხატ. რედაქტორი), Თ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, Ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ. მდივანი)<br>ტექრედაქტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |
|---|---|---|

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 14/XI-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XI-78 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₃, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 126.000. შეკვ. 3059 უე. 00969 ფასი 30 კაპ.













ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა
6 53/182